# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 26 აპრილი 1997 №47 (412) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა




ილია ბაბუნაშვილი

„ჰითროუს" აეროპორტიდან


# 250 ქართველი ხუმრობაა?!

— მოსაგებად ჩამოხვედით?
— რა თქმა უნდა.
— მაშინ ქვეყანაში არ შეგიშვებ.
— ნუ შემიშვებ.
— კეთილი, შეგიშვებ, მაგრამ იცოდე: სამით ნოლი იქნება ინგლისის სასარგებლოდ.
— არასოდეს.
— ხუთით, ხუთით ნოლი.

ამის შემდეგ მე და ლონდონელმა მებაჟემ ორიოდ სიტყვით გიო ვახსენეთ, ბოლოს კი, გვეყო, თორემ ამ თემას თუ შევყევით, კარგა ხანს გაგვიგრძელდებაო, დამემშვიდობა.

ეს მებაჟე ჩვენს ფეხბურთელებს ალბათ არ გადაეყრებოდა, რადგან საქართველოს საფეხბურთო დელეგაციას ინგლისელი კოლეგები დახვდნენ და, თუ არ ვცდები, რაღაც სხვა გზას სწიეს. მე და „სარბიელის" დარბაისელი მესვეტე კი ჩვეულებრივ, სამოქალაქო წესების დაცვით მოვხვდით ქალაქში, სადაც ჩემი პირველი შთაბეჭდილებით, ინგლისელი ყოველ ათ კაცში დიდი-დიდი სამია.

ხოლო მანამდე, თბილისი-სტამბოლი-ლონდონის რეისით ჩვენ და ნაკრებმა ერთად ვიმგზავრეთ.

სარედაქციო დავალებას, ჩვენების მგზავრობა აღწერეო, რაღა დაგიმალოთ და, იმთავითვე ოდნავი ეჭვით შევხვდი. ცხადია, ქართველ გულშემატკივრებს თავიანთი გუნდის ყოფის ყოველი წვრილმანი აინტერესებთ, მაგრამ მგზავრობა ცოტა უცნაური საწერია. თავად წარმოიდგინეთ, რა უნდა ექნათ დილის ექვსის ნახევარზე თბილისის აეროპორტში მისულ ბიჭებს დაახლოებით ხუთსაათნახევრიანი ფრენისას? ცხადია, მეტწილად ეძინათ. ისინი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მგზავრები გახლდნენ, რომელთაც ვერც შეატყობდი, რომ „უემბლიზე" უმნიშვნელოვანეს თამაშზე მიემგზავრებოდნენ. მე, ბუნებრივია, მათი განწყობილების „ჩავლებას" ვცდილობდი მაინც, იქნებ ამა თუ იმ ფრაზასა თუ გამომეტყველებაში რაიმე შემენიშნა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. იქნებ, სწორედ ესაა კარგის მანიშნებელი, თორემ დამფრთხალ ხალხს, ალბათ, კოჭებში ეტყობა.

მაინც რა იყო განსაკუთრებული? რა და, შოთამ სტამბოლ-ლონდონის აერობუსში ვილაც შეუძლოდ გამხდარი შენიშნა და დატრიალდა, სტიუარდებსა და სტიუარდესებს აჯობა ყურადღებაში, საქართველოს ნაკრების ექიმს დიმა ზაალიშვილს დაუძახა და ფერწასული მოაბრუნებინა. კიდევ ის, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანი კახი ცხადაძე თავიდანვე ბიჭებთან იყო, თბილისიდან ლონდონს სხვებსავით, ჩვეულებრივად ჩამოფრინდა და ამგვარად თბილისში დარხეული ხმები, ნაკრები უკაპიტნოდააო, სინამდვილეს არ შეეფერება. თემურ ქეცბაია „ჰითროუში" დახვდა თანაგუნდელებს, აი, ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელები კი გაწბილებულები ჩანნენ: თურმე დონეცკის „შახტიორის" თავდამსხმელს მიხეილ ფოცხვერიას რატომღაც დონეცკ-თბილისის ბილეთი ჩაუბარებია, ახალი კი ვერ უშოვია, თუ რა იყო, საბოლოოდ შინ დარჩენილა.

სხვა თითქოს არაფერი, ამჯერად, ნამგზავრზე რისი მოყოლაც შეიძლება, ესაა. დანარჩენი შემდეგ იყოს.

ჰო, მართლა: „ჰითროუში" შევიტყვეთ, „უემბლიზე" 250 ქართველი იქნებაო.

# უემბლიმდე 4 დღე დარჩა

## ცხადაძის ერთი პროცენტი




ზურაბ მექველია

ლონდონიდან


ლონდონში საქართველოს ნაკრების ბინა სასტუმრო „საპუელ ჰაუსია". მის სიახლოვეს ერთი კოხტა მდელოა, რომელზეც ჩვენები თამაშამდე დარჩენილ დღეებში დილაობით უბურთოდ ივარჯიშებენ, საღამოს კი სასტუმროდან 20 წუთის სავალ საფეხბურთო მოედანზე გადაინაცვლებენ. გუშინ სწორედ იქ ივარჯიშეს პირველად, იქიდან მობრუნებულებმა კი, ასე ცხრა საათისთვის ივახშმეს. ყიფიანს ნავახშმევს გავესაუბრე...

— ცხადაძის თამაში 99 პროცენტით გამორიცხულია, კუნთი აქვს ჩაწყვეტილი — მითხრა ნაკრების მწვრთნელმა — მცირე ტრავმები აწუხებთ ზოიძეს და გოგიჩაიშვილს. მათი ამ დღეში ყოფნა გორში თამაშის, უფრო ზუსტად, მსაჯის ბრალია — უხეშობა ვერ მოთოკა და... სასტუმროში მყოფ ნაკრების 16 წევრს დღეს, გვიან ღამით ქინქლაძე და ყაველაშვილი შემოუერთდებიან — „სიტი" დღეს ნორვიჩში თამაშობს და ჩვენები მანქანით ჩამოვლენ. ხვალ და ზეგ ისევ იმ მოედანზე ვივარჯიშებთ, დღეს რომ ვიყავით, სამშაბათს, რვის ნახევარზე კი „უემბლიზე" შეგვიშვებენ...




# ფოცხვერია ლონდონში ჩავა

მიშას სელექციონერებიც ჩააკითხავენ

როგორც კი შევიტყვეთ, ახალგაზრდულ ნაკრებს „შახტიორის" თავდამსხმელი მიხეილ ფოცხვერია ლონდონს არ გაჰყოლიაო, მიზეზის შესატყობად დონეცკში დავრეკეთ და მიშას მენეჯერს, ვოვა ჩერქეზოვს ველაპარაკეთ:

— მიშას ბილეთი აღებული ჰქონდა და თბილისშიც მოფრინავდა, ახალშერთული მეუღლე ცუდად რომ გაუხდა. დონეცკი-თბილისის მომდევნო რეისი ისე გვიან მოფრინავდა, ცდას აზრი არ ჰქონდა, ნაკრებს თბილისში ველარ ჩამოუსწრებდა. ამიტომ თბილისში მოსკოვიდან ამჯობინა გამოფრენა — იქიდან რეისები ხშირია. მაგრამ, მაინცდამაინც იმ დღეს არ ყოფილა რეისები და დონეცკში დაბრუნდა.

**— ესე იგი, გუცაევს ინგლისელებთან მისი იმედი არ უნდა ჰქონდეს?**

— როგორ არა! მიშა თავისი ხარჯებით 28 აპრილს აპირებს კიევიდან ლონდონში ჩაფრენას. ნერვიულობდა, არ იფიქრონ, შეკრებაზე ჩასვლას თავი აარიდაო. არადა, ინგლისელებთან მატჩს დიდი იმედებით ელოდება — ამ თამაშმა ხომ მისი მომავალი შეიძლება რადიკალურად შეცვალოს. თანაც იცის, რომ მის ნახვას ლონდონში საგანგებოდ ჩასული უცხოელი სელექციონერები აპირებენ.

**— თუ საიდუმლო არ არის, რომელ კლუბებს სურთ მისი გადაყვანა?**

— რუსეთიდან ცეესკასა და „ტორპედოს", სხვა გუნდებზე კი კონკრეტულად ჯერ არაფერს გეტყვით. მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ ერთი მათგანი ესპანეთის ერთ-ერთი ძლიერი გუნდია.

# ითამაშებს ბაჯო თბილისში?

ზუსტად წელიწადი და შვიდი თვე გავიდა იმ დღიდან, რაც რობერტო ბაჯომ უკანასკნელად ითამაშა იტალიის ნაკრებში. ეს იყო იტალია — სლოვენიის 1995 წლის 6 სექტემბრის მატჩი. იტალიელი ტიფოზებს ნაკრების ადრინდელი თავკაცი არიგო საკი იმიტომაც სძულდათ, რომ მათი კერპი ეროვნულ გუნდს ჩამოაშორა, საკი — ბაჯოს ურთიერთობა „მილანშიც" ვერ იყო ტკბილი, მაგრამ ბოლო დროს საკის გული მოულბა და რობერტოს ძირითადშიც გამოიყვანს ხოლმე. თუმცა, ამათი ურთიერთობა ახლა ნაკლებად საინტერესოა იმასთან შედარებით, რაც ამ დღეებში მოხდა: „სკუადრა აძურას" ამჟამინდელი მწვრთნელი ეტყობა, სხვანაირად ფიქრობს და ბაჯო კვლავ მიიწვია ნაკრებში. ამ ამბით გახარებულმა ფეხბურთელმა მწვრთნელის მოქმედება ასე შეაფასა: „ნამდვილად არ ველოდი, მალდინი თუ ნაკრებში დამიძახებდა, თავიდან არც მჯეროდა, სიზმარი მეგონა. უზომოდ ბედნიერი ვარ. ახლა ჯერი ჩემზეა. ვეცდები, მალდინის ყოველმხრივ გავუმართლო და ჩემი თამაშით გულშემატკივრებსაც გადავუხადო მადლობა მხარდაჭერისთვის. იმის მიუხედავად, რომ 30 წლის ვარ, მჯერა, კიდევ ბევრი შემიძლია და ამაში 30 აპრილს დარწმუნდებით, თუ, რაღა თქმა უნდა, მალდინი პოლონელებთან მათამაშებს." თავად მწვრთნელმა კი ეს განაცხადა: „მართალია, ბაჯოს დავუძახე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს რობეროტო აუცილებლად ითამაშებს. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ ბაჯო კარგ ფორმაშია და ნაკრებშიც ამიტომ მივიწვიე."




გოგი ახვლედიანის


## სვეტი

### პირდაპირ თვითმფრინავიდან

ახლა მანდ შაბათია და საქართველოს ნაკრების „უემბლიზე" გასვლამდე ოთხი დღე დარჩა. ამ არცთუ დალაგებულ სვეტს რომ ვწერ, პარასკევის ადრიანი დილაა და მე მრავალ სხვა ადამიანთან ერთად ცაში ვიმყოფები.

დაბლა მხოლოდ ღრუბლებია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არცერთი სტადიონი არ ჩანს.

სტადიონი იმიტომ ვახსენე, რომ ეს ჩემი სვეტი სპორტულია, ძირითადად კი საფეხბურთო, თორემ დილის რვა საათზე ფეხბურთზე ფიქრი და ლაპარაკი, მეტი რომ არ ვთქვათ, სისულელეა, მითუმეტეს, რომ მთელი ღამე ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყურებაში გაქვს გატარებული და თვითმფრინავშიც იმიტომ ზიხარ, რომ ფეხბურთის საყურებლად მიგიწევს გული.

მაშ ასე, და... ქართველი ფეხბურთელები პირველად მიემგზავრებიან „უემბლიზე" სათამაშოდ. მე ცოტა ხნის წინანდელი ამბავი მახსენდება: როგორ უთრთოდა ხმა „რაიუნოს" ტელეეკრანიდან მომზრალ ჯანფრანკო ძოლას: ხვალ „უემბლიზე" გავდივართ და გული მიფრთხიალებს — ამგვარი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ ყოფილაო.

ამ სიტყვებიდან 24 საათის შემდეგ ჯანფრანკომ თავისი ბავშვობის ოცნება აიხდინა, „უემბლიზე" გავიდა, გოლი გაიტანა და იტალიის ნაკრებს მოაგებინა.

დიახ, ფეხბურთელები ის ხალხია, ოცნებები რომ აუხდებათ ხოლმე, მაგრამ ამ ოცნებათა ასახდენად წლობით ღვრიან ოფლს.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი?

იმიტომ, რომ თურქული ავიაკომპანიის თვითმფრინავი, რომელსაც მე ავედევნე, ქართველ ფეხბურთელებითაა სავსე.

ჩემი სავარძლიდან ასე ჩანს, რომ ბიჭები ჩინებულ ხასიათზე არიან. ღმერთმა ქნას, ეს ხასიათი ბოლომდე გაჰყვეთ და მსოფლიოს ყველაზე მწვანე, ყველაზე სწორ, ყველაზე მეტად გრძნეულ მინდორზე გასულებმა...

აი, აქ კი დავფიქრდი. ასე გაცვეთილ, ფეხბურთზე მოლაპარაკე კაცთათვის ნაცნობ სიტყვებს მოვადექი: „მაქსიმუმი უჩვენონ".

განა ეს ის სიტყვებია, საქართველოს ნაკრებთან ერთად თვითმფრინავში მოხვედრილმა კაცმა რომ უნდა თქვას დილის რვა საათზე? „მაქსიმუმი უჩვენონ" — ეს ნულია, ეს არაფერია, იმიტომ რომ, ასე ცივად ნათქვამს ცივი ამბებიც მოჰყვება.

ზოგადად, მინდოდა მეთქვა, რომ კარგია, როცა ფეხბურთელს ოცნება აუხდება ხოლმე. მე ის გამიხარდება, რომ თუ ყველას არა, ხუთს მაინც, თუნდაც ოთხს, სამს, ორს და ერთსაც კი, აუხდეს ოცნება ოთხშაბათს საღამოს.

ძოლას ნათქვამი სწორედ იმიტომ გამახსენდა ამ შუა ხმელთაშუა ზღვის თავზე, თორემ აგერ, ჩემს გვერდით ერთი ინგლისელი ძიაკაცი ზის და მეოთხე საათია, იახტების გამო შედგენილ რაღაც ჟურნალს კითხულობს. ამას რა უჭირს? ამას თავი ქუდში აქვს.

მოკლედ, მთელი თვითმფრინავი ფეხბურთელებითაა სავსე, ძიაკაცს კი თავი ქუდში აქვს. რას არ შეხვდები საერთაშორისო რეისზე ან ვის არ შეხვდები! მათ შორის ქართველებსაც, რომლებსაც ძალიან უყვართ ოცნება, თვითმფრინავის სალონში მოუსვენრად სიარული და სიგარეტის წევა, რითაც ძალიან წუხს ჩემი მეზობელი ინგლისელი ძიაკაცი. ჰოდა, სწორედ ამაზე გამახსენდა — ეგებ შეგვეწუხებინა ინგლისელები, ოღონდ ცოტათი სხვანაირად, ცოტათი სხვაგან — ცის ნაცვლად მიწაზე, მსოფლიოს უმწვანეს მინდორზე, იქ, „უემბლიზე"!

ვნახოთ. ჯერ გვაცალონ ციდან მიწაზე დაშვება. იქიდან უფრო დაწყობილად მოგახსენებთ.

# ასე არ შეიძლება!

...დინამო — სდასუს მეორე ნახევარფინალური მატჩის დამთავრებამდე 47 წამი რჩება. ამ დროს ბენდელიანი ხოშტარიასთან ბრძოლაში დაჯარიმდა, მეხუთე პერსონალური მიიღო და გავარდა. მოედანზე ეგუტია გავიდა, სდასუს მწვრთნელს ლევან ინწკირველს კი ბერეკაშვილის შეყვანა უნდოდა. მან ეგუტია მოედნიდან გამოიხმო, ეგუტიამ გამოსვლა არ მოინდომა, ის და მწვრთნელი შელაპარაკდნენ, მოთამაშემ ინწკირველის საცემრად გაიწია და... არა მარტო გაიწია. სდასუს მოთამაშეები მწვრთნელსა და თანაგუნდელს შორის ჩადგნენ და ერთი-ორი ეგუტიასგან მათაც მოხვდათ, ამ დროს ეგუტიას რომელიღაც გულშემატკივარი ეცა და ინწკირველის შეურაცხყოფისთვის მუშტით გაუმასპინძლდა. აირია მონასტერი და ეგუტია ძლივს გაიყვანეს დარბაზიდან. ამ დროს კი სხვა ტრიბუნაზე სხვა ჩხუბი დაიწყო, რომელშიც დინამოელთა მწვრთნელი ლევან მოსეშვილი გაერია და დარბაზი დიდ რინგს დაემსგავსა...

### კომენტარი

**როლანდ ხომერიკი, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:**

„რა კომენტარი უნდა გაუკეთდეს ამ ფაქტს. ხულიგნების ჩემპიონატია და კალათბურთის თამაში არავის უნდა."

**ლევან ინწკირველი, სდასუს მწვრთნელი:**

„არანორმალური ფსიქიკის ადამიანებს სპორტში არაფერი ესაქმებათ. ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი".

... თემურ ბაბლუანის ფილმის „ბეღურების გადაფრენის" ერთი გმირი დროდადრო ჩამოივლის ხოლმე ვაგონს, სადაც ფილმის მოქმედება ვითარდება, და იქ მყოფთ ამას ეუბნება — „ასე არ შეიძლება". ალბათ, საჭიროა, ვინმემ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მწვრთნელებსა და მოთამაშეებსაც ჩამოუაროს. ის, რაც სდასუ — დინამოს ნახევარფინალურ მატჩში მოხდა, შემთხვევითი არ არის. ტურის ყოველ დღეს ხან ერთ, ხან მეორე მატჩში იქმნება სახათაბალო სიტუაციები. საკმარისია დაძაბული მატჩი, რომ მოედანზე გინების კორიანტელი დადგეს და დარბაზშიც მუდმივად ჩხუბის სუნი ტრიალებს. თუმცა, ვთქვათ, ვითელებს არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ „ქიმიკოსთან," მაგრამ ლევან ქარაბაკის გამოხდომა ეთიკურ ნორმებს გვარიანად სცილდება, თანაც ქარაბაკი ამ ბოლო დროს შეეჩვია ამას დაეჩვია. სხვაზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა თავად ლევან მოსეშვილი ვერ იოკებს თავს.

მოკლედ, მაყურებელს ან თამაში უნდა შევთავაზოთ, ანდა, ბურთი და კალათი რა შუაშია, ასპარეზობა ვერის ბაღში კალათბურთის დარბაზის გვერდით მდებარე კრივის დარბაზში გადავიტანოთ.

გულშემატკივრებს ძალიან უნდათ, გუნდებმა ლამაზად და ღირსეულად ითამაშონ, ჩხუბი კი ყველას მობეზრდა.


კოტე მგალობლიშვილი


## გუშინ

**ჩოგბურთი**

მონტე-კარლოს ღია პირველობის მეოთხედფინალები

მოია — კრაიჩეკი 1:6, 6:2, 6:4; რიოსი — ლარსონი 6:1, 6:2; კორეჩა — რუუდი 6:2, 6:0; სანტორო — ჰ.კოსტა 6:3, 7:5

დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ: მოია — რიოსი, კორეჩა — სანტორო

## წუხელ

**ფეხბურთი**

ბუნდესლიგა.

დუისბურგი 2:3 მიუნხენი

ლევერკუზენი 2:1 ვერდერი

# კაპიტანმა გუნდი არ მიატოვა!

## ცხადაძე ლონდონშია, თუმცა მისი თამაში სარისკოა

კახა ცხადაძის ინგლისში წაუსვლელობას შეგუებულნი სახლში შევეხმიანეთ, გასაუბრება გვსურდა. ყურმილი დედამისმა აიღო და მოულოდნელი ამბავი გვაუწყა — კახა თითქოს არ უნდა წასულიყო, ფეხი საშინელ დღეში ჰქონდა, მაგრამ 24-ში ღამის პირველის ნახევარზე სახლში მოვარდა, ფორმა აიღო და დილით ნაკრებთან ერთად ინგლისს გაემგზავრაო.

„დინამოს“ ექიმი ზაქრო თელია, ბუნებრივია, აქ მყოფთაგან ყველაზე სრულად ინფორმირებული უნდა ყოფილიყო მომხდარის თაობაზე.

— კახა უნდა დარენილიყო. მიზეზი ერთი თვის წინ მიღებული წვივის კუნთის ტრავმაა, რომელსაც არ უმხელდნენ და ტკივილგამაყუჩებელი ნემსებით ათამაშებდნენ, რაც არაფრისდიდებით შეიძლებოდა. კახა გაძლებამდე თამაშობდა, მაქსიმუმ ერთი ტაიმი და ტკივილმაც, ბოლო-ბოლო თავი, იჩინა.

**— ესე იგი, კახასთვის თამაში კარგა ხანია, არ შეიძლებოდა...**

—სწორედაც რომ ასეა. მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არანაირ ეთიკურ ნორმებში არ თავსდება. ბევრის აზრით, გაზაევი მოთამაშეებს ისე ტვირთავს, რომ ეს მერე ტრავმების მიზეზი ხდება. მაგალითი უამრავია — რევიშვილი, შელია, ცხადაძე...

გამგზავრებამდე კახამ გასასინჯად მომაკითხა. ტრავმირებული კუნთი უკვე გამკვრივებული ჰქონდა, ჩემი აზრით, მისი თამაში არ შეიძლება. თვითონაც ასე ამბობდა, მაქსიმუმ 30 წუთს თუ ვითამაშებო.

**— ეს ამბავი, ბუნებრივია, ყიფიანსაც ეცოდინებოდა...**

— ჩვენ ბაზაზე ყიფიანის გორიდან ჩამოსვლას ველოდით. მას შეაგვიანდა და სახლში წამოვედი. მანამდე კი კახას ვურჩიე, არ დაემალა ყიფიანისთვის თავისი მდგომარეობა და ყველაფერი ეთქვა. ამის შემდეგ სახლში თავად ყიფიანი შემეხმიანა, მასაც ვუთხარი, რომ ცხადაძის თამაში ერთობ სახიფათოა.

თუმცა, როგორც იცით, კახა გუნდს ინგლისში მაინც გაჰყოლია. ეტყობა, ყიფიანს იმედი აქვს, რომ ცხადაძე თამაშამდე მომჯობინდება. მანამდე კიდევ ხუთი დღეა დარჩენილი და თუ მანამდე დაისვენებს და იმკურნალებს, შესაძლოა, მცირე ხნით თამაში მაინც მოახერხოს. ბუნებრივია, ამ ხუთ დღეში საგრძნობლად ვერ მომჯობინდება, თავის უნარსაც ბოლომდე ვერ გამოავლენს, მაგრამ საჭირო შემთხვევაში შესაძლოა ერთი ტაიმი გაძლოს. თუმცა, ვიმეორებ, ტრავმირებული ფეხი თავისუფლად თამაშის საშუალებას არ მისცემს. ამდენის თამაშიც თუ შეძლო, გმირობის ტოლფასი იქნება.



საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ალანიას“ კვალიფიციური ექიმები აკლია. კობიაშვილს მხრის სახსარი ამოუვარდა. ვლადიკავკაზში ოპერაცია გაუკეთეს და ექიმებს უთქვამთ, ორ კვირაში ვარჯიშს შეძლებო. ასეთი მძიმე ტრავმისას კი ორი კვირის შემდეგ მომჯობინება გამორიცხული იყო. გავაფრთხილე კიდეც ლევანი — თავი არ დაიღუპო-მეთქი. მაგრამ ის ვალდებული იყო 17 აპრილს ვლადიკავკაზს ჩასულიყო. იქ ექიმებისთვის ჩემი ნათქვამი გადაუცია და ისინიც დათანხმებულან.

**— თავად კობიაშვილმა გვითხრა, თბილისში გაცილებით ადრე განმკურნავდნენო...**

— ეს მართლაც შესაძლებელი იყო. როდესაც ლევანი ჩვენს ტრავმატოლოგებთან მივიყვანე, მათ გაეცინათ, ამნაირი ოპერაცია ათეული წლების წინ კეთდებოდაო. დღევანდელი მეთოდებით ლევანს განმეორებითი ოპერაციის გაკეთება აღარ უნდა დასჭირვებოდა, მას კი ჯერაც ამოსაღები აქვს რკინის ჩხირები და ფირფიტები...

**მერაბ მამულაშვილი**

# რუსთავი 2: ფედერაცია ხელს ვერ შეგვიშლის!

უემბლისწინა სიახლეების შესატყობად ბოლო დროს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თავკაცებსაც რომ ვაწუხებთ, არავის გაუკვირდება. უცხოეთიდან პირველი ქართული საფეხბურთო ტელერეპორტაჟის მოწყობამ დიდი ინტერესი გამოიწვია და... არაერთი ჭორიც გავრცელდა. ერთი მათგანი ასეთია — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და „რუსთავი 2“ რაღაცაზე ვერ თანხმდებიანო. იკითხავთ, რა ხელი უნდა ჰქონდეს ფედერაციას ტელეკომპანიასთანო. არსებობს მსოფლიოში მიღებული წესი: მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ჩვენების უფლებას დაინტერესებული ტელეკომპანია მასპინძელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან ყიდულობს, ეს უკანასკნელი კი სტუმართა ქვეყნის ფედერაციის თავკაცებს ეკითხება, თანახმა ხართ, რომ ამ ტელეკომპანიამ შუხვედრა გადასცესო.

ჰოდა, ხმა დაირხა, ჩვენი ფედერაცია ინგლისელებისთვის თანხმობის მიცემისგან თავს იკავებსო. სიმართლის დასადგენად „რუსთავი 2“-ის პრეზიდენტს ეროსი კიწმარიშვილს მივაკითხეთ.

— ჯერ გეტყვით იმას, რომ ფედერაციებს შორის შეთანხმება ფორმალური ხასიათისაა. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ შუამავალთა დახმარებით ტრანსლაციის უფლება ვიყიდეთ, რაც სათანადოდ, კონტრაქტით გაფორმდა. ამიტომაც ვამბობ, რომ რეპორტაჟი ნებისმიერ შემთხვევაში შედგება. თუ ფეხბურთის ფედერაციიდან ინგლისელებისთვის პასუხი არ გაუგზავნიათ, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, ეს მათი პირადი საქმეა. მთავარი ისაა, რომ ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის.

მე კარგად ვიცნობ ფიფასა და უეფას დებულებების სათანადო პუნქტებს, სადაც ტელეტრანსლაციის გაყიდვის იურიდიულ საკითხებზეა საუბარი და ვიცი, რა უფლებები აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. მას არ შეუძლია ტრანსლაციის შეჩერება.

**— ამის თაობაზე ფედერაციის თავკაცებს თუ შეხვდით?**

— ბუნებრივია, ასეთი შეხვედრა გვქონდა — გენერალურ მდივან დავით კვინიკაძესთან. მაგრამ ჩვენი საუბრის შინაარსის აფიშირება არასასურველად მიმაჩნია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კვინიკაძემ ფედერაციის უფლებები შემახსენა.

**— ბევრს აფიქრებს ის, რომ თქვენი არხის ტელესიგნალი მთელ ქვეყანაზე არ ვრცელდება და უმრავლესობას თამაშის ხილვის საშუალება არ ექნება...**

— ბუნებრივია, ვეძებთ საშუალებას, რათა თამაში მთელმა საქართველომ იხილოს. საამისოდ, შესაძლოა, კავშირგაბმულობის სამინისტროსგან ვიყიდოთ I არხზე მატჩის ჩვენებისთვის აუცილებელი 130 წუთი... დიახ, 130 წუთი და არა 115. ჩვენს წინა საუბარში არ მითქვამს და ახლა დავაზუსტებ: რეპორტაჟი შესვენებისასაც გაგრძელდება. სიურპრიზიც ესაა — ინგლისელი თუ ქართველი სპეციალისტების კომენტარები და ასე შემდეგ. ბუნებრივია, რეკლამებსაც დავუთმობთ გარკვეულ დროს, მაგრამ მაქსიმუმ 20 წუთს, რათა მაყურებლები ძალიან არ დავღალოთ. საეთერო დროის მნიშვნელობიდან გამომდინარე რეკლამის ფასი საკმაოდ მაღალია, თუმცა ამის მიუხედავად უკვე რიგი დადგა...

**მერაბ მამულაშვილი**

## ჩალაძე: ისევ ჰეთ-თრიქი!

თუკი ევროპაში „ოქროს ბურთი“ კვლავ აღადგინა „ფრანს ფუტბოლმა“, ლატვიაში მოთამაშე ჩვენებური დათო ჩალაძე შეგვიძლია მის ერთ-ერთ მაძიებლად მივიჩნიოთ. თავად განსაჯეთ: დათომ პირველივე ტურში „ვენდსპილს“ სამი გოლი გაუტანა, მეორეში მისი „სკონტო“ ისვენებდა, მესამე ტურში კი თანაქალაქელ „ლოკომოტივს“ შეხვდა და დათომ კვლავ ჰეთ-თრიქი შეასრულა! 4:1 — ასე გაიმარჯვა „სკონტომ“. მეოთხე ბურთი ჩვენებურის პასით მისმა მუდმივმა ასისტენტმა მიხოლაპმა გაიტანა. მოკლედ, სამი ტურის შემდეგ, ორი ნათამაშევი მატჩის მერე „სკონტო“ ექვსი ქულით გათამაშების ცხრილს მოექცა სათავეში, დათო ჩალაძე კი ექვსი გოლით ბომბარდირთა სიას ლიდერობს.



## მარაქანში ჩვენებიც გარეულან!

### დავით კვინიკაძე და კარლო ყრუაშვილი აღმოსავლეთს უკომისრებენ

ახლახან ფეხბურთის ფედერაციაში უეფადან მიღებული ფაქსი იუწყება, რომ ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე და მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე კარლო ყრუაშვილი უეფას ეგიდით გამართულ შეხვედრებზე დელეგატებად დაინიშნებიან. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ყველა ქვეყანას უფლება აქვს, თავისი კანდიდატები წარადგინოს, უეფა კი გადაწყვეტს, ღირს თუ არა საპასუხისმგებლო მატჩებზე მათი დანიშვნა. ჩვენი ფედერაციის მიერ წარდგენილ ორივე კანდიდატურაზე უეფა ყაბულს არის. როგორც უხუცესმა არბიტრმა კარლო ყრუაშვილმა გვაცნობა, მათი სამოქმედო არეალი ალბათ რეგიონალური პრინციპით შემოიფარგლება და ქართველ დელეგატებს ახლომახლო ქვეყნებში მოუწევთ მოგზაურობა.




სამეფო

შამპანური,

რომელსაც დიდი ხანია ელოდით

დამზადებულია ადგილობრივი ყურძნის ჯიშების, ციცქა, ჩინური გორული, მწვანე და პინოსგან

მიღებულია ღვინომასალების სრული შამპანიზაციის გზით.

ქარხანა „ვაზიანი“

T: 94 16 907 94 16 87


### დილა 0:1 დინამო

გორი. ცენტრალური სტადიონი

დილა: ვოლკოვი, ციცქიშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, მჭედლიშვილი, რევაზიშვილი (კაიდარაშვილი 52), ფხალაძე (ხორგუაშვილი 70), გ. გვაზავა

დინამო: ზოიძე, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, მაჭავარიანი, კ. გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (დიმიტრიშვილი 70), ცქიტიშვილი, ხომერიკი (კერძევაძე 58), ანჩაბაძე, დემეტრაძე (ყიზილაშვილი 76)

0:1 ხომერიკი (35)

მსაჯი: ვ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მამუკა კვარაცხელია**
გორიდან

გორში „დინამოს“ თამაში უჭირს ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, უცვლელ ჩემპიონს აქ არასოდეს გაუსეირნებია. ასე იყო ამჯერადაც. მატჩის მიწურულს „დილას“ ქულის გადარჩენაც კი შეეძლო, თუმცა მანამდე „დინამოსაც“ ძალუძდა დიდი ანგარიშით გამარჯვება.

„დინამო“ საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდა, ეროვნული თუ ახალგაზრდული ნაკრებების, მოქმედი თუ დისკვალიფიცირებული, ყველა დინამოელი წევრი სასტარტო შემადგენლობაში იყო. მთავარი მწვრთნელიც იქ იყო, ის კი არა, მატჩზე ვოვა გუცაევიც იყო ჩამოსული ახალგაზრდული ნაკრებისთვის შეგულებული გორელი გიორგი რევაზიშვილის სანახავად და მიუხედავად იმისა, რომ რევაზიშვილმა მცირე ტრავმა მიიღო და მატჩი ვერ ჩაამთავრა, ისე კარგად ითამაშა, რომ როგორც გორელთა ხელმძღვანელებისგან მატჩის შემდეგ შევიტყვე, გუცაევს ნაკრებში აუყვანია.

გასახარი იყო ნაკრებელ დინამოელთა კარგი თამაში. გოგიჩაიშვილი ძალზე ბევრს ტვირთულობდა და, როგორც წესი, მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა ორთაბრძოლებიდან. მაღალი სასტარტო სისწრაფის წყალობით კახა მყის რამდენიმე მეტრით ასწრებდა მეურვეს და ფლანგებიდან სახიფათოდ აწვდიდა. გოლიც სწორედ მისი გარღვევისა და საჯარიმოში ხომერიკისთვის ზუსტად ჩაწოდების შემდეგ გავიდა. ამის მერეც გოგიჩას კიდევ ერთი გარღვევა დაასრულა გოლით დემეტრაძემ, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. თუ გოგიჩაიშვილ — დემეტრაძის

## შენაძენი და დანაკლისი

კიდევ ერთ მანამდელ კომბინაციასაც გავიხსენებთ, პენალტს რომ ჰგავდა, მაშინ გოგიჩაიშვილის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კურთხევა არ უნდა გაგვიკვირდეს...

მატჩის 70-ე წუთზე კიდევ ერთი საინტერესო მომენტის მომსწრე გავხდით: ანჩაბაძემ დემეტრაძე გარღვევაზე გაიყვანა, დემე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ვოლკოვმა იგი ზედ საჯარიმოს წინ მოცელა. დოგრაშვილს, წესით, წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა მეკარისთვის, მაგრამ რატომღაც დაინდო, მატჩის კომისრის ვახტანგ კოპალეიშვილის რისხვაც დაიმსახურა და სამსაჯო ნიშანიც გაიფუჭა.

ორიოდ წუთში მარეხაშვილს გაუცუდდა საბოლოო დარტყმა, არადა, დინამოელთა მარჯვენა ძელთან ახლოს იმყოფებოდა. მერე ანჩაბაძემ იჭიდავა, ხორგუაშვილს ვარდნით ბურთი აართვა, მაგრამ ეს შეტევაც უგოლოდ დასრულდა. მალევე ანჩაბაძემ საჯარიმოს წინ ბურთიც დაიმორჩილა, ლამაზი ფინტით მცველიც სახტად დატოვა, კარშიც მოჭრილად დაარტყა ცაციათი, მაგრამ... მერე კერძევაძემ, ბრმანაწლავი უოპერაციოდ რომ მოირჩინა, შორეული აბრაგანი ხარიხას გაარტყა. მატჩის მიწურულს კი გოგიჩაიშვილს უკნიდან მაისურზე ჩამოეკიდნენ, ისიც წაიქცა და... ველარ წამოდგა. „ისე უხერხულად დავეცი, მარცხენა ფეხზე კუნთი დამეჭიმა, მაგრამ არა მგონია, საშიში იყოს“ — მითხრა მატჩის მერე კახამ. არადა, ტრავმა სერიოზული ჩანდა, გოგიჩაიშვილს ექიმების დახმარებაც კი დასჭირდა და მინდორზე ამბის გასაგებად ნაკრების მთავარი მწვრთნელიც კი გაიჭრა...

ბოლო წუთზე კი ყიფიანს გვარიანი ნერვიულობა გადახდა: გორელთა თავგანწირული შეტევის მერე ხორგუაშვილმა ზოიძეც კი გამოიტყუა კარიდან, მაგრამ დარტყმა ველარ მოახერხა — მცველებმა ივაჟკაცეს, თუმცა ბურთი ისევ გორელებს დარჩათ და ისევ დინამოელმა მცველებმა განმუხტეს სიტუაცია.

### თსუ 5:0 სამგურალი

თბილისი. სტადიონი „შევარდენი“

თსუ: ბათიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვერემჩუკი, კობიაშვილი, თელიაშვილი, კანკავა, ნ. მინდიაშვილი (გაგუა 61), კობესაშვილი (ჩიგოშვილი 68), ჩუხუა, მელქაძე, როსტიაშვილი (ზ. გვაზავა 75)

სამგურალი: ქვაჩახია (თევზაძე 46), ლ. ქობულაძე, ბ. ჯანელიძე (ბრეგვაძე 46), კოლუაშვილი, გოგელიძე, ძაგნიძე, ველაშვილი, ფხაკაძე, გოჩა კვარაცხელია, ხურცილავა, ჯანაშია (თევდორაძე 46)

1:0 ჩუხუა (7), 2:0 ქორიძე (43), 3:0, 4:0 როსტიაშვილი (49, 64), 5:0 ქორიძე (65)

კვარაცხელიამ ვერ გაიტანა პენალტი (73)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**ვახტანგ ბზიკაძე**

„სამგურალი“ თავიდან ისე გაუძალიანდა მასპინძელს, ვერ იფიქრებდით, ასე მწარედ თუ დამარცხდებოდა. სტუმრებს მხარი მხოლოდ საკუთარმა მეკარემ ვერ აუბა, რომელმაც პირველ ტაიმში ვერცერთხელ გადაარჩინა თავისიანები. სადაც სტუმრებზე, ვთქვით, იქ მასპინძლებიც მოვიხსენიოთ. არახალია, თუ ვიტყვით, რომ თსუელები აშკარად სჯობნიან იმერლებს, მაგრამ რაკი პირველ ტაიმში საკმაოდ არეულად თამაშობდნენ, სტუმრებს თავისუფალი სივრცეები მისცეს.

თბილისელთა გამარჯვებას სათავე ჯუბა ჩუხუამ დაუდო მე-7 წუთზე, როცა მარჯვენა ფლანგზე ბურთი კოლუაშვილს თავზე გადაატარა და შორიდანვე ძლიერად დაარტყა. ქვაჩახია მხოლოდ მუშტით წაეტანა ბურთს, მაგრამ ძელიდან კარში შეუვარდა. ტაიმის მიწურულს ჩუხუამ ქორიძის მისამართით გაგზავნა ბურთი, სადაც ამან ცენტრალურ მცველებსაც აჯობა და გვიანდა გადამხტარ ქვაჩახიასაც.

## შენაძენი და დანაკლისი

გოლებს შორის „სამგურალიც“ ცდილობდა, მაგრამ მეტოქის კარს ხიფათი ვერ შეუქმნა. მესამე გოლიც ისე სწრაფად გავიდა თამაშის განახლებიდან, რომ „სამგურალს“ შესვენებაზე გაკეთებული სამი შეცვლა ველარაფერში წაეშველა. ამჯერადაც პირველი ტაიმის მეგოლეებმა მოინდომეს: ქორიძის ჩაწოდება ჩუხუამ გაატარა და როსტიაშვილს ანგარიშის გადიდება არ გასჭირვებია. ის კი არა, მანვე 15 წუთში გაგუას ჩაწოდებაც გამოიყენა, რასაც წუთშივე ვერემჩუკის უგრძესი პასი და ქორიძის გოლი მოჰყვა.

ასეთმა წარუმატებლობამ სტუმრები პრესტიჟის გოლის გასატანად განაწყო. ახალშემოსულმა თევდორაძემაც თუმცა კი უნდილად, მაგრამ ლამის ყველა ადგილიდან ურტყა. ერთხელაც, ბათიაშვილი წინ რომ გამოვიდა, „სამგურალს“ გატანა შეეძლო, მაგრამ ახალგაზრდა თსუელმა მეკარემ ეს დარტყმა ფეხით მოიგერია, ძაგნიძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტისას კი, კვარაცხელიას რომ აულო, მეორე წრეში უკვე მესამედ იმარჯვა.

თამაშის ბოლოს თბილისელ გვაზავასაც ჰქონდა კარგი შანსი მაგრამ ჩუხუას პასი ვერ შეიშნოვა და კარს გადააცილა. ბათიაშვილმა კი ერთხელაც სასწაული ნახტომით აულო თევდორაძეს და სტუმრებს ის ერთი ნანატრი გოლიც არ გაატანინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ივერია 0:2 კახეთი**

ხაშური. სტადიონი „გრიგოლ ჯომართიძე"
ივერია: აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, ქაჭუა, ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე (ზირაქაძე 34), ჭუთელაური (გურამ ლომიძე 30), კალმახელიძე (ვეშაპიძე (77), ნივწივაძე, თორია
კახეთი: ასლანაძე (პაქსაშვილი 21), ვ. ბლადაშვილი, კ. ნიკლაური, ტარუღაშვილი, ჯიკაევი, ფოფხაძე, მაზანაშვილი (ნაკუდაიძე 46), ჯაშიაშვილი, შონია, ბაბულაიძე, ტოკლიკიშვილი (ლვინიაშვილი 78)
0:1 ბაბულაიძე (21 პ), 0:2 მაზანაშვილი (26)
გაფრთხილება: ასლანაძე, ჯიკაევი, ბაბულაიძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მამუკა კვანტალიანი**
**ხაშურიდან**

# გინება, მოგება, მუშტები და...

ხაშურში ერთმანეთს ორი გაჭირვებული შეხვდა. აქედანვე გეტყვით, რომ სტუმრებმა უსიტყვოდ დაჩაგრეს მასპინძლები. ვინ იცის, რა მოუხერხა, რა უთხრა ჯონი ჯანელიძემ თელაველებს, მაგრამ ფაქტია — „კახეთის" პროგრესი აშკარა იყო. ეს თვით ფეხბურთის ყადრის მცოდნე ადგილობრივმა მაყურებლებმაც აღიარეს და დააფასეს, მაგრამ სტადიონზე მყოფთა უმცირესობას წარმოადგენდნენ, დანარჩენებს კი სტუმრების გინების მეტი არა უკეთებიათ რა. ეს იყო ორი მწვრთნელის ზუელის კლასიკური ნიმუში, რომელშიც უფროსმა და მრავლისმნახველმა ჯანელიძემ აშკარად აჯობა ჯერ კიდევ გამოუცდელ კოლეგას.

„ივერიამ" შეტევებით დაიწყო და სახიფათო მომენტიც შექმნა, მაგრამ ტყემალაძის სახიფათო თაური სტუმართა მეკარემ ნახტომში გააქვავა. ეს იყო და ეს. „კახეთმა" აიწყვიტა და მეტოქე ყველაფერში დაჩაგრა. მინდვრის შუაგულს მაზანაშვილი და ფოფხაძე დაეპატრონენ, ჯაშიაშვილმა და ბაბულაიძემ კი ლამის გააპამპულეს ხაშურელი მცველები. სტუმართა დაცვამ საიმედოდ ჩაკეტა წივწივაძე და თორია. მასპინძლები დადგნენ და მეტოქის შეცდომებს დაუწყეს ლოდინი, ამ დროს კი თავად შეცდნენ. სანამ სტუმართა პირველ გატანილ გოლზე გეტყოდეთ, მანამდე ბარემ იმ ინციდენტს აღვწერ, თამაში რამდენიმე წუთით რომ შეწყვიტა. სტუმართა და ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ დათო ასლანაძემ მატჩი თავიდანვე დინჯად და საიმედოდ დაიწყო, ბურთიც აუჩქარებლად შეყავდა თამაშში, რისთვისაც მაყურებელთაგან „ლოცვა-კურთხევას" იღებდა, არადა, მისი მშობლები იქვე ტრიბუნაზე ისხდნენ. ეს დათომ იცოდა და როცა ერთხელაც აიკლეს გინებით, ნერვებმა უმტყუნა და ახალგაზრდა მეკარემ იგივეთი უპასუხა. ვითარება დაიძაბა. ამას ისიც დაერთო, რომ ზუსტად იმ მომენტში ტოკლიკიშვილმა მასპინძელთა მცველების შეცდომის მერე ბურთი მოიგდო და მეკარესთან პირისპირ გასული მოცელეს. გუნთაძემ თამაში გააჩერა, თერთმეტმეტრიანი დანიშნა, სტუმართა მეკარე კი ყვითელი ბარათით დასაჯა მაყურებელთა შეურაცხყოფისთვის. არც მაყურებელი დაცხრა და არც მეკარემ დაიხია უკან. ჯანელიძემ უმალ იყნოსა საფრთხე და ნერვებაწეწილი მეკარე უფრო გამოცდილით, მაგრამ კარგა ხანს უთამაშებელი პაქსაშვილით შეცვალა. ასლანაძე გასახდელში კი შევიდა, მაგრამ ვაი-უშველებელი მაინც არ ჩამცხრალა. ზოგი ნაბახუსევი, ზოგიც მთლად ბალღი ვითომ „რაღაცას" აპირებდნენ, მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ, რომელიც სტადიონზე მაინცდამაინც მრავლად არ იყო, ყოველივე დროულად ალკვეთა. გუნთაძემ კახელებს დანიშნული პენალტი დაარტყმევინა და ბაბულაიძემაც გაიტანა. სტუმრებმა მიღწეული უპირატესობა მალევე გააორმაგეს: შონიას მოწოდებულ კუთხურს აქტიურმა მაზანაშვილმა კარგად შეურჩია ადგილი და თაური გაიტანა. ამის მერე სტუმრებმა კონტრშეტევები ირჩიეს და თამაშის ბოლომდე ბარე ათი გოლის გატანა შეეძლოთ. მართალია, ველარ ივარგეს, მაგრამ არც საკუთარი კარი აალებინეს მეტოქეს.

მოკლედ, „კახეთმა" გაიმარჯვა. გაიმარჯვა უშუალო კონკურენტთან და პირველ ჯგუფში დარჩენის იმედიც გაიხანგრძლივა. თბილისისკენ გამომგზავრებული ერთთავად ხაშურელთა უსუსურ თამაშზე ვფიქრობდი. ყველაფრის თავი და თავი ისევ უსახსრობა გახლავთ. „ივერიის" მოთამაშეებს შვიდი თვეა, ხელფასი და პრემია არ მიუღიათ, ოღონ თამაშის წინ დაურიგებიათ ნახევარი თვის ორ-ორი კაპიკი. ამას, ცხადია, არეულობა სდევს. ისიც უნდა ითქვას, რომ ხაშურელთა მწვრთნელ მალხაზ ლაცაბიძეს თამაშის მერე დიდი შეხლა-შემოხლა შეემთხვა და მუშტების ქნევამაც მოუწია, რა თქმა უნდა, ხაშურელებთან, ოღონდ ის ვერ გავარკვიე მოდავე რიგითი გულშემატკივარი გახლდათ თუ რომელიმე მოთამაშის მშობელი. იმ არეულობაში ვერც კონფლიქტის მიზეზი გავარკვიეთ. ეს ყველაფერი ერთმანეთს დაერთო და შედეგიც სახეზეა — „ივერიამ" ისეთი სამი ქულა დაკარგა, რომელიც ბარე ექვსს უდრიდა.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

საუკეთესო სტუდენტმა ქორიძემ ქობულაძესაც აჯობა

**გორდა 2:0 სამტრედია**

რუსთავი: სტადიონი „ფოლადი"
გორდა: კოროშინაძე, ლაბაძე (კარანაძე 59), ბექაური, პატარიძე, სახვაძე, გაბელია, მელაძე, არსოშვილი, ბერიძე, კალუგა (თ. მუშკუდიანი 64), ჩელებაძე (ლ. ალადაშვილი 85)
სამტრედია: ჩაჩუა, ანჯაფარიძე, გეგეშიძე, ლორია, პაველიაშვილი, ცომაია (ფხაკაძე 88), შ. ჩომახიძე (ვეკუა 84), გ. ქელიძე, მარკოზია, იველიანი, ფრანგიშვილი
1:0 მელაძე (20 პ), 2:0 პატარიძე (58)
გაფრთხილება: მარკოზია
მსაჯი: ხ. ხანიაშვილი (თბილისი)

**მერაბ მამულაშვილი**
**რუსთავიდან**

# ჯიმი იგებს, ჩელე კი მაინც წუხს

„გორდას" ბევრჯერ ახსოვს მძიმე დროება, მაგრამ დღევანდელივით მხოლოდ 1993 წელს უჭირდა. მაშინ, გივი ნოდიას წასვლის შემდეგ, გუნდი კინაღამ ჯგუფიდან გავარდა. რუსთაველებს რეზო ძოძუაშვილი მოევლინათ მხსნელად, ერთი ხანობა ძლიერი გუნდიც ჩამოაყალიბა, მაგრამ შარშან მასაც მობეზრდა გამუდმებით პრობლემებთან ჭიდილი და ლატვიას მიაშურა. მეორე წრიდან მისი საქმის გაგრძელება ჩელებაძე — იმნაძის დუეტმა იკისრა. თუმცა, დღევანდელი „გორდას" ფსკერიდან დაძვრა ურთულესი საქმე იქნება. იმის მიუხედავადაც, რომ მასავით, და შეიძლება უარეს დღეში მყოფი „სამტრედია" დაამარცხა.

უპირატესობა მთელ შეხვედრაში მასპინძლებისა იყო. ყველანაირი სტატისტიკური მონაცემებიც ამას ადასტურებს — კუთხურებში, კარში დარტყმებში, სახიფათო მომენტებში „გორდა" აშკარად ჯობდა მეტოქეს, ისინი უფრო მობილიზებულნი, მოსაგებად შემართულნი იყვნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

ანგარიში სამტრედიელი მცველის ხელით თამაშის გამო დანიშნული პენალტით გაიხსნა. მელაძემ უნაკლოდ „აღასრულა განაჩენი". მერე ამას პატარიძემ მშვენიერი თაურით გატანილი დაუმატა. მასპინძლებს კიდევაც შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ მეტი ველარ იხეირეს, სამტრედიელებმა კი ორიოდეჯერ თუ გამოიდეს თავი.

მატჩის შემდეგ „გორდას" პრეზიდენტი რევაზ ჩელებაძე ბუნებრივია, კარგ გუნებაზე დადგა — რაც უნდა იყოს, გუნდმა სახიფათო ზონას დროებით მაინც დააღწია თავი, თუმცა კი რეალობის გრძნობაც არ დაუკარგავს — მოვიგეთ, მაგრამ ეს რა თამაში იყო, მაყურებელი რომ ვიყო და არა პრეზიდენტი, სტადიონიდან გულდათუთქული წავიდოდიო.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მარკოზიამ კოროშინაძეს ლამის კისერი მოტეხა...

**ტორპედო 5:2 მარგვეთი**

ქუთაისი. სტადიონი „გივი კილაძე"
ტორპედო: კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, ჯინჭარაძე, შ. ხუჯაძე, სადილიანი, მარლიშვილი (გიორგი ლომიძე 62), კვეტენაძე, ქებაძე (კ. მეტრეველი 77), გ. მეგრელაძე (შენგელია 61), აშვეთია, ვაჩიბერაძე
მარგვეთი: გვენცაძე, ლანჩავა, გურიელიძე, დ. ქელიძე, ლონლაძე, კაციაშვილი, მოსიკაშვილი, გენაძე, უგულავა (სულაკაძე 55), უკლება (მალაღურაძე 67), გუბელაძე (შავგულიძე 78)
1:0 ვაჩიბერაძე (26), 1:1 უკლება (47), 2:1 კვეტენაძე (64), 3:1 აშვეთია (71), 4:1 შენგელია (75), 5:1 კიკალეიშვილი (77 პ), 5:2 მოსიკაშვილი (86)
აშვეთიამ ვერ გაიტანა პენალტი (29)
გაფრთხილება: ლონლაძე
მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# ნუ გააბრაზებთ!

მარგველთა საქმე რომ უკანუკან მიდის, იქიდანაც ჩანს, რომ ჩემპიონატის განახლების მერე ყველაზე ცოტა, სამად-სამი ქულის აღება მოახერხეს. თუმცა, პირველი წრიდან იმდენად მყარი მარაგი გადმოჰყვათ, ასეც რომ გააგრძელონ, ჯგუფიდან გავარდნას ალბათ მაინც აცდებიან. მათგან განსხვავებით, ტორპედოელებმა სწორედ მეორე წრეში გამოიღეს ხელი, ყველაზე ცოტა, 4 ქულა დაკარგეს და, ეტყობა, არც აპირებენ ტემპის შენელებას. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ მატჩში გამარჯვებულის წინასწარ გამოცნობა სირთულეს არ წარმოადგენდა.

ძილისმომგვრელ პირველ ტაიმში სტუმრები იოლად უმკლავდებოდნენ პრიმიტიულად მოთამაშე მასპინძლებს, მაგრამ ერთიორჯერ მაინც წამოეგნენ ანკესზე: ვაჩიბერაძისგან გოლი მაშინ იგემეს, როცა ტორპედოელთა იერიში დასრულებული ეგონათ. მერე იყო და, საჯარიმოში შეჭრილი აშვეთია ჭელიძემ წააქცია. პენალტის ნიშნულზე ბურთი თვით დაზარალებულმა დადო, მაგრამ ძელს გაარტყა.

სტუმრები წინ მხოლოდ გუბელაძის იმედად იყვნენ, მას კი არაფერი გამოსდიოდა. ერთადერთი სახიფათო მომენტი „ტორპედოს" კართან ლანჩავამ შექმნა 36-ე წუთზე. მან შორიდან დაარტყა, კიკალეიშვილმა ვერ შეძლო ბურთის დაჭერა, მაგრამ ვერც მოსიკაშვილმა მოასწრო დამატება. დაიწყო მეორე ტაიმი და უკლებამ საკმაოდ მახვილი კუთხიდან გამოზომილი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

ტორპედოელები ამას ნამდვილად არ ელოდნენ და ერთხანს დაიბნენ კიდეც. საჭირო გახდა თამაშში კორექტივების შეტანა. მარლიშვილი ჩვეულად ვერ ირჯებოდა და გამთამაშებლის როლი კვეტენაძემ გადაიბარა. მეგრელაძის ნაცვლად შესული შენგელიაც გულიანად ჩაება თამაშში და შედეგმაც არ დააყოვნა. კვეტენაძემ შორეული დარტყმით კვლავ წინ გაიყვანა მასპინძლები. კაცმა რომ თქვას, ისეთ გამოცდილ მეკარეს, როგორიც გვენცაძეა, ეს ბურთი არც უნდა გაეშვა. ცოტაც და, ტორპედოელებმა პირდაპირ შავი დღე აყარეს სტუმრებს — 6 წუთში სამჯერ განაახლებინეს თამაში ცენტრიდან. ორი გოლის თანაავტორი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეული ვაჩიბერაძე გახლდათ, ერთისაც — ქებაძე. ამ უკანასკნელის მოცელვისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი კიკალეიშვილმა თავის ზესტაფონელ კოლეგას ისე ინჯად შეუცურა კარში, მომავალში ქუთაისელები პენალტის დარტყმას სხვას ალბათ აღარც ანდობენ.

რომ გამოერკვნენ, სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს. ლანჩავას მიერ მარცხნიდან ჩაწოდებულს მოსიკაშვილი მისწვდა და მარგველთა შემადგენლობაში გატანილ სამ თაურ გოლს ერთიც მიამატა.

ქუთაისელები ორმოცქულიან ბარიერს მიუახლოვდნენ. ახლა მათ მძიმე მატჩი ელით ფოთში. სწორედ „კოლხეთთან" თამაშის შემდეგ უნდა გამოჩნდეს, რამდენად რეალურია „ტორპედოს" პრეტენზიები ევროტურნირებზე გასასვლელად.

ისე, ფოთელებს ქუთაისელთა დამარცხება ალბათ უნდა გაუჭირდეთ, რადგან „ტორპედო" სწორედ მაშინ გამოიღებს ხოლმე ხელს, როცა საკუთარ კარში გოლს მიიღებს. ასე იყო „ივერიასთან", თსუელებთან, „კახეთთან", „დინამოსთან" და „მარგვეთთანაც"...

**სიონი 1:1 მერანი**

ბოლნისი. სტადიონი „თემურ სტეფანია"
სიონი: ზლაიძე, მეფარიშვილი, ყაველაშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე (ა. ჭანტურია 70), ხოსროშვილი (ვ. სამხარაძე 70), ტარტარაშვილი, გოგოლაძე (ჯაფარიძე 80), ჯაგიდისი, მოსეშვილი
მერანი: დოლიძე, გოგიტაძე, ქველაძე, გოგიბერიშვილი, კაკუბავა, ბელაქორიძე, ბ. კვარაცხელია, ჯიშკარიანი, ბ. ამბიძე (დანელია 60), გოდერძიშვილი (მაზიაშვილი 70), გაბისონია (ცქიფურიშვილი 89)
0:1 დანელია (71), 1:1 ვ. სამხარაძე (88)
გაფრთხილება: დანელია
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

# არც გინება აკმარეს

მთავარმწვრთნელდაბრუნებულ „მერანს" ბოლნისში რომ მოეგო, „კოლხეთთან" სხვაობას სამ ქულამდე შეამცირებდა. სტუმრების გამარჯვებაც მოსალოდნელი იყო, მაგრამ ისიც ცხადი გახლდათ, რომ მასპინძლები უბრძოლველად არაფერს დათმობდნენ. მითუმეტეს, რომ შინ თამაშობდნენ, ქართულ ფეხბურთში ოდნავ მაინც ჩახედულ გულშემატკივარს კი ეცოდინება, ბოლნისიდან სამი ქულის წაღება როგორი საქმეა. „მერანმაც" თავის თავზე გამოსცადა ეს ყოველივე, თუმცა ამის შესახებ წერილის ბოლოს...

თამაში ბოლნისელთა უპირატესობით კი დაიწყო, მაგრამ რაიმე სახეირო ვერაფერი შექმნეს. მხოლოდ ერთხელ იყო, მასპინძელთაგან ყველაზე ნაკლებად, მაგრამ ყველაზე გონივრულად და სარგებლიანად მოძრავმა ჯონი ჯაგიდისმა დოლიძესთან პირისპირ გაიყვანა ხოსროშვილი, რომელმაც გზა და გზა სიჩქარე დაკარგა და მერანელ მცველებსაც სიტუაციის განმუხტვის საშუალება მიეცათ. პირველ ტაიმში სულ ეს იყო, „სიონი", როგორც შეეძლო, უტევდა, „მერანი" კი გააზრებულად იცავდა თავს და შესაძლებლობისთანავე სწრაფ კონტრშეტევათა იმედად თამაშობდა.

შესვენების შემდეგაც იგივე განმეორდა. თუმცა სახიფათო მომენტების მხრივ სურათი ოდნავ შეიცვალა. ჯერ იყო, გოგოლაძემ ვერ გამოიყენა მოსეშვილის კარგი პასი და დოლიძესაც არ გასჭირვებია ბურთის მოგერიება, შემდეგ გოდერძიშვილმა დაურტყა ჩლაიძეს, იქვე გაბისონიამაც იყოჩაღა მცველებთან ჭიდილში, მაგრამ საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა. ჰოდა, თითქოს ის-ის იყო, თბილისელებს გოლი უნდა შეეგდოთ, რომ მასპინძლების შეტევა წესის დარღვევით შეაჩერეს და დაახლოებით 30 მეტრიდან ჯაგიდისის მიერ შესრულებული საჯარიმო დოლიძემ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. „სიონი" ამან შეაგულიანა და თითქმის მთელი გუნდი „მერანის" ნახევაზე „დასახლდა". სწორედ მაშინ იყო, მცველებს კაკუბავას ჭკვიანური პასი რომ გამოეპარათ და გოდერძიშვილის დაგდებული ბურთი შეცვლაზე ახალშემოსულმა დანელიამ კარში მოათავსა. აქედან მოყოლებული კი დაიწყო... არბიტრს რომ ცოტა სიმკაცრე მაინც გამოეჩინა, მასპინძელთა რამდენიმე ფეხბურთელი უეჭველად გასაძევებელი იყო, მაგრამ ლორთქიფანიძის გაუბედაობა ბოლნისელი ფანების დამსახურებაც გახლდათ — მათ მიერ ნასროლი რაღაც საგანი და რეპლიკები ყოვლად გამაღიზიანებელი და არცთუ უხიფათო გახლდათ. დარჩენილი ოცი წუთიც ასეთ არანორმალურ ვითარებაში ჩატარდა. „სიონმა" ძალა მოიკრიბა და ისე გააფრთებით ეკვეთა „მერანს", აშკარა იყო, გოლის ხილვას თუ არა, ჩხუბის მოწმენი ნამდვილად გავხდებოდით. ერთიც ვნახეთ და მეორეც. ჯერ გოლზე: მოსეშვილმა მარჯვნიდან შეუტია, ერთი მცველიც მოატყუა და ძლიერად დაარტყა, მეკარემ კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებული კი სამხარაძემ თაურით გოლად აქცია. მასპინძლებმა დიდად გაიხარეს, ისედაც ხასიათწამხდარ მერანელებს კი არც გოლი აკმარეს, არც გინება და მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ დაერივნენ კიდეც: გასახდელს მიახლოებულ გუბაზ დოლიძეს უკნიდან ვიღაცამ ისეთი უთავაზა, თანაც ორიგინალურად, რომ იქ მყოფთ, როგორ ვთქვა, გულშემატკივართამეთქი, მოწონება დაიმსახურა და მათაც გამოიღეს ხელი. მოკლედ, „სიონი" — „მერანის" შეხვედრა ფრედ კი დამთავრდა, მაგრამ მატჩის შემდგომ, „მესამე ტაიმში" გამარჯვებული „მერანის" ფეხბურთელები გამოვიდნენ თუ ადგილობრივი გულშეტკივრები ერთი-ორი პოლიციის ჩათვლით, ძნელი სათქმელია.

**ბათუმი 1:0 კოლხეთი**

ბათუმი. სტადიონი „დინამო"
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (კანტიძე 67), მინდაძე (შანიძე 10), სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტუღუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ლალანიძე, ინიაშვილი, დ. მახარაძე, სოლოლაშვილი, დარახველია, მ. ქობულაძე
1:0 უჯმაჯურიძე (60 პ)
გაფრთხილება: ტუღუში, ღლონტი, ინიაშვილი, მიქაბერიძე
მსაჯი: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ოდიში 4:2 გურია**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი
ოდიში: ნაყოფია, ვახანია (კუტალია 26), გურუა (ჯოჯუა 25), ჭედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, ჭურღულია, ნიტაიშვილი, გაბედავა, კალანდაძე (იოსავა 76)
გურია: სულავა, ღურწკაია, თოლორდავა, კუკულაძე, ქიქავა (ლ. ყოლბაია 68), თ. გოგიჩაიშვილი (პატარაია 46), ცერცვაძე, განევი, გვიანიძე, ებრალიძე, კ. სიდამონიძე
1:0, 2:0, 4:1 გაბედავა (37, 41, 67), 2:1 თოლორდავა (57), 3:1 კალანდაძე (65), 4:2 პატარაია (78)
გაფრთხილება: ღურწკაია
მსაჯი: ხ. კახიანი (თბილისი)

## თასების თასის საპასუხო ნახევარფინალი
24 აპრილი

Cup Winners' Cup

ლივერპული (ინგლისი) — პსჟ (საფრანგეთი) 2:0
ფიორენტინა (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) 0:2

### ლივერპული 2:0 პსჟ

**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, რაიტი, რედნაპი, რადოკი, ბიორნებიუ, ტომასი, მაკმანამანი, ბერგერი (კენედი 69), კოლიმორი, ფაულერი
**პსჟ:** ლამა, ნგოტი, ლე გუენი, გერენა, ფურნიე, კოე, ალჟერინო, ლეროი, ლეონარდო (კენედი 83), რაი, ლოკო (პოჟე 57)
**გოლი:** ფაულერი (12), რაიტი (79)
**გაფრთხილება:** ნგოტი

პარიზელები ზედიზედ მეორედ გავიდნენ ფინალში და თასის მეორედ მოგების შანსიც მიეცათ. თუმცა, ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან პსჟ-ს ფინალში „ბარსელონა" ელის, თანაც, თუ ლივერპულში ჩატარებული შეხვედრით ვიმსჯელებთ, ფრანგებისგან ბევრს ვერას უნდა ველოდოთ. პირველი სახიფათო მომენტი ლოკომ შექმნა — ჯეიმსთან პირისპირ გასულმა ააცილა, ანგარიში კი მასპინძლებმა გახსნეს: ლამას საჯარიმოში ჩაჰკიდეს ბურთი, კოლიმორმა საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო ნგოტის და რობის დაუგდო, ამან კი სეზონში 31-ე გოლი შეაგდო. ამან მასპინძლები შეაფუცხუნა და რამდენჯერმე ფრანგები ლამამ იხსნა. ტაიმის ბოლო წუთზე ჩეხმა ბერგერმა გოლის გატანის ნაღდი შანსი გაუშვა ხელიდან. მალე ლივერპულელთა კიდევ ერთი შეტევა დასრულდა უშედეგოდ — ბიორნებიუს თაური მცირედით ასცდა ხარიხას. ამ მომენტში პარიზელთა ერთ გოლს ყველაფრის დამთავრება შეეძლო და იგი გავიდოდა კიდეც, ბრაზილიელ ლეონარდოს რომ ემარჯვა. გოლის მომლოდინე ტრიბუნებს სიხარულის ტალღამ 79-ე წუთზე გადაუარა — რაიტმა ერთხელაც გაიწია კარისკენ და ბიორნებიუს კუთხურის შემდეგ თაურით საწადელსაც მიაღწია. მასპინძლებმა ბოლო წამებზე თავი გადადეს: „ლივერპულის" ყველა მოთამაშე, მეკარე ჯეიმსის ჩათვლით, პარიზელთა საჯარიმოს არ მოსცილებია. ჯეიმსმა დაჰკრა კიდეც თაური, მაგრამ ბურთი ხარიხას გადასცდა. მატჩის შემდეგ ლივერპულელთა დაღონებული თავკაცი როი ევანსი გულისტკივილით ამბობდა, რა კარგი იქნებოდა, პარიზში ერთი მაინც რომ გაგვეტანაო. მისმა კოლეგამ რიკარდომ კი ეს თქვა, ძალზე ვღელავდი, განსაკუთრებით ბოლო ათი წუთი, საფინალო სასტვენმა კი ნამდვილად სულზე მოგვისწროო. მანვე დასძინა, ფინალში გასვლით მოხარული ვარ და მიუხედავად „ბარსელონას" მეტოქეობისა, თასის მათთვის ჩაბარებას სულაც არ ვაპირებ. ის კი არა, მინდა, პსჟ პირველი ევროპული გუნდი გავხადო, ვინაც თასების თასი ზედიზედ ორჯერ მოიგოო.

### ფიორენტინა 0:2 ბარსელონა

**ფიორენტინა:** ტოლდო, კარნაშალი, პადალინო, შვარცი, ამორუზო, სერენა (პუშედე 84), კოისი (ბიგიჩა 89), რობიატი, რუი კოშტა, ოლივეირა, ბაიანო (ფირიკანო 89)
**ბარსელონა:** ბაია, ფერერი, კოუტუ, ნადალი, სერხი, გვარდიოლა, დე ლა პენია, ლუის ენრიკე (ამორი 80), ჯოვანი (აბელარდო 85), ფიგუ (სტოიჩკოვი 85), რონალდო
**გოლი:** კოუტუ (30), გვარდიოლა (35)
**გაფრთხილება:** შვარცი, რუი კოშტა, სერხი, დე ლა პენია
**გაძევება:** ოლივეირა (48), ნადალი (83)

მასპინძლები ფინალისკენ მიმავალ გზას ბრწყინვალედ მობურთალმა „ბარსელონამ" ჩამოაცილა, კლუბმა, რომელსაც თასების თასი სამჯერ მოუგია. შეხვედრის დასაწყისში ბურთი მოედნის ცენტრში ტრიალებდა, მერე კი „ფიორენტინას" კარს სახიფათოდ მიუახლოვდა. მე-16 წუთზე რონალდომ ტოლდო ჩამოიცილა და შეაგდო, თანამსაჯმა კი, თამაშგარე იყოო. იტალიელები ცენტრიდან თამაშის დაწყებას ამჯერად გადარჩნენ, მერე კი ამ პროცედურის შესრულება მაინც მოუხდათ. რონალდოს მარჯვენა ფლანგზე პადალინო ეუხეშა, ჯარიმა დე ლა პენიამ ჩაჰკიდა, საჯარიმოში კი კოუტუმ ყველას აჯობა და ანგარიშიც გახსნა. თამაშის განახლება და ბაიას კართან საგოლე მომენტი ერთი იყო: ბრაზილიელმა ოლვეირამ ლამაზად აუარა გვერდი რამდენიმე კატალონიელს და დაარტყა, ბაიამ უხეიროდ მოიგერია, თუმცა მასპინძელთაგან ვერავინ დაამატა. მალე რობსონის ბიჭებმა ისევ შეუტიეს, რონალდო იტალიელებმა წრეხში მოაქციეს და ჯარიმაც აიკიდეს. გვარდიოლამ უშეცდომოდ დაარტყა და ფრიად ლამაზი გოლიც გაიტანა — ტოლდო არც კი განძრეულა. ტაიმიც ასე დამთავრდა. თამშის განახლებას კი წითელი ბარათი მოჰყვა. მასპინძელთაგან ერთობ აქტიურ ოლივეირას სიმულაციისთვის მოედანი დაატოვებინეს.

თავისიანის გაძევებამ მაყურებლები გააცოფა და მონეტებისა და პლასტმასის ბოთლების სროლა იწყეს, თუმცა ამით „ბარსას" რას დააკლებდნენ. დე ლა პენიას რაღაც საგანი კი მოარტყეს, მაგრამ მან ვაჟკაცურად აიტანა ფლორენციელთა უსაქციელობა და „ბარსელონას" გამარჯვებაში ლომის წილის შეტანით იძია შური. მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა, რამაც არბიტრი აიძულა, კომისართან მისულიყო მოსათათბირებლად. გულშემატკივრები, ეტყობა, მატჩის ჩაშლამ შეაშინა და დაწყნარდნენ. უკვე მერამდენედ შემწყდარი თამაში რომ განახლდა, ბაიას კარის ძელი შეზანზარდა — ეს რუი კოშტამ დაარტყა ჯარიმა. ეს იყო და ეს, ფლორენციელებს მეტი აღარაფერი შეუქმნიათ, აი რონალდომ კი ერთი-ორჯერ ბრწყინვალედ დაურტყა ტოლდოს, მაგრამ ვერ გაუტანა. ტაიმის მიწურულს ნადალიც ოლივეირას გზას გაუყენეს, რითაც ფინალს ჩამოაშორეს. შეხვედრის მერე ფინალში გასვლით გახარებულმა რობსონმა თქვა, მეტოქეს დღეს ბატისტუტა აშკარად აკლდა. რონალდომ ბრწყინვალედ ითამაშა, გვარდიოლას და დე ლა პენიას პასების ყურება კი ერთ რამედ ღირდაო. ბოლოს რობსონმა საკუთარ თავზეც ილაპარაკა — რას მერჩით, დამეხსენით, მე ჩემს საქმეს პირნათლად ვასრულებ. აბა, დამისახელეთ სხვა კლუბი, ქვეყნის ჩემპიონობისთვის, თასისთვის და ევროთასისთვის რომ იბრძვისო.

**ლაშა გოდუაძე**




ლივერპული — პსჟ. ფაულერს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალეს

## ჩემპიონთა ლიგა
საპასუხო ნახევარფინალი
23 აპრილი

CHAMPIONS LEAGUE

# მოგონებანი გარდასულ დღეთა

„იუვენტუსმა" „აიაქსს" დიდი ანგარიშით მარცხი აწვნია და არც კი აფიქრებინა ევროპას, რომ ევროტურნირების 14 საგარეო მატჩში დაუმარცხებელი „აიაქსი" შეიძლებოდა ბრწყინვალე სერიის გაგრძელებას. მატჩის შემდეგ მეტად აქტიურმა ზიდანმა თქვა, შარშან უეფას თასის ფინალში დავმარცხდი, წელს კი ჩემპიონთა თასის ხელიდან გაშვებას ნაღდად არ ვაპირებო. მას კვერი ბოქშიჩმაც დაუკრა: „მინდა, ლიგაში მეორედ გავიმარჯვო. როცა თასი მოვიგეთ, „ოლიმპიკს" სუპერთასზე და საკონტინენტთაშორისო თასზე ასპარეზობის უფლება მოუსპეს. იმედია, მიუნხენში ჩვენ ვიმარჯვებთ." „გაძეტა დელო სპორტს" თუ მოვიშველიებთ, „იუვემ" „მილანის" მიერ ევროპულ ფეხბურთში შექმნილი ეპოქის გაგრძელებაზე განაცხადა პრეტენზია. ამსტერდამში კი „აიაქსს" პანაშვიდი მოუწყვეს, მარტო გულშემატკივრებმა კი არა, თავად ფეხბურთელებმაც გამოიტირეს გუნდი. ფრენკ დე ბურმა თქვა, მორჩა, წასულია 90-იანი წლების „აიაქსის" საქმე, ტურინში ჩვენი ერა დასამარდაო. „ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს, ეს ლოგიკურია. ჩვენმა დრომ ჩაიარა, ახლა „იუვენტუსმა" შეგვცვალა. ტურინელები ღირსნი არიან ატარონ უძლიერესი გუნდის სახელი" — ეს სიტყვები ბლინდს ეკუთვნის.

უსიამოვნო შეფასებებში ფეხბურთელებს მხარი გაზეთებმაც აუბეს. ზოგიერთმა მათგანმა აიაქსის დროშაში გამოხვეული კუბო დახატა და ჭირისუფლად ლუი ვან გაალი გამოსახა. „ვან გაალის „აიაქსი" დაეცა. დამარცხდა კლუბი, რომელიც პირველი იყო პირველთა შორის. დამარცხდა სამარცხვინოდ, თუმცა 1:4 მარცხის მიუხედავად „აიაქსი" არ იმსახურებს ხელის კვრას, რადგან წინა წლებში მან იმდენი სიხარული მოგვიტანა, რომლის გახსენებაც კი ახლაც დიდ სიამოვნებას გვგვრის, ისევე როგორც თვალზე ცრემლს" — ასე დაიტირა ამსტერდამელთა მარცხი „ჰეთ პაროლმა".

ამ დროს კი ჰოლანდიელთა სამეზობლოში დიდი ზეიმი გაჩაღებულიყო — გერმანელები „ბორუსიისგან" „მანჩესტერის" ძლევას ხარობდნენ. გამარჯვებულთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, „იუვენტუსი" აშკარა ფავორიტია, მაგრამ ჩვენსას მაინც ვეცდებითო.

1993 წლიდან „იუვენტუსი" და „ბორუსია" მხოლოდ 1993-94 წლების უეფას თასის გათამაშებაში არ შეხვედრიან ერთმანეთს, დანარჩენ ტურნირებში კი მუდამ პაექრობდნენ. 1993 წელს, უეფას თასის ფინალში „იუვემ" „ბორუსია" პირწმინდად დაჯაბნა — 3:1 გარეთ და 3:0 შინ, 1995 წელს იმავე თასის ნახევარფინალში შინ, დორტმუნდში საპასუხო მატჩის 2:1 მოგებამ ტურინელებს ფინალის საგზური მოუტანა, პირველი შეხვედრა კი 2:2 ტურინში დასრულდა, შარშან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მეტოქეებმა სტუმრად სძლიეს ერთმანეთს, წელს კი აგერ ფინალში ხვდებიან.

## ინგლისი

XXXVI ტური

### ტოტენჰემი 1:0 მიდლსბრო

**ტოტენჰემი:** უოქერი, ოსტინი, ედინბურგი ჰოუელსი, კალდერვუდი, დოზელი, კემპბელი, ვეგა, სინტონი, ნილსენი, შერინგემი
**მიდლსბრო:** რობერტსი, ვიკერსი, პირსონი, ემერსონი, მუსტო, კინდერი, სტამპი (ჰინეტი 82), ბეკი, ჟუნინიო, რავანელი (ფრისტოუნი 82)
**გოლი:** სინტონი (71)

პრემიერლიგაში ყოფნისას „მიდლსბრო" მეთერთმეტედ ეწვია ლონდონს, თუმცა, წინა შეხვედრების არ იყოს, ვერც ახლა იძალა. ამ მარცხმა სტუმრები ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე დააყენა, არადა, რობსონის ბიჭები წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. იღბალი რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, ორი-სამი ბურთითაც მოეგოთ. მასპინძელთა მიერ შეხვედრის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობა ტაიმის შუაში თანდათან გაქრა და მეორე ნახევარში ბურთი ძირითადად „ტოტენჰემის" ნახევარზე დაგორავდა, თუმცა ბეკი, ჟუნინიო, სტამპი და „სკუადრა აძურაში" გამოძახებული რავანელი შეტევების დაგვირგვინებისას სცოდავდნენ. მიდლსბროელთა მიერ ამდენი მომენტის გამოუყენებლობამ ლონდონელებიც აამოქმედა. ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო შეტევა, ედინბურგმა რომ დაიწყო და შერინგემმა გააგრძელა, სინტონმა გოლით დაასრულა. ამას მასპინძელთა კიდევ ორი შეტევა მოჰყვა, მაგრამ ერთხელ რობერტსმა იმარჯვა, მეორედ კი კემპბელის დარტყმამ მარცხენა ძელს ჩაუზუზუნა. ბოლო წამებზე დანიელი ბეკის დარტყმული უოქერმა მოიგერია.

### დერბი 0:0 ნოტინგემი

**დერბი:** ტეილორი, როუეტი, პაუელი, ვან დერ ლაანი, სტარიჯი, კერსლი, დეილი, ტრილოპი, ლაურსენი, ვენზოპი (უორდი 80), ასანოვიჩი
**ნოტინგემი:** ფეტისი, ლითლი, ჩეტლი, ფილიპსი, გემილი (მური 84), სონდერსი, უოენი (ჰაალანდი 71), ვან ჰუიდონკი, ალენი, უორნერი, ონილი

„ნოტინგემი", შესაძლოა, უკვე დაემშვიდობა პრემიერლიგას, რადგან აუტსაიდერს ერთობ მძიმე ბოლო ორი თამაში ელის „უიმბლდონთან" და ჩემპიონთა ლიგისთვის მებრძოლ „ნიუკასლთან". სტუმართა კაპიტანი პირსი, მატჩის წინ რომ ამბობდა, პრემიერლიგაში დასარჩენად ყველა ღონეს ვიხმართო, შეხვედრის შემდეგ ნირწამხდარი იყო — ან რა ჰქონდა სათქმელი, როცა მის გუნდს ჩეტლის მიერ ხარიხას გარტყმულის გარდა კარში ხეირიანად არც დაურტყამს. ეს ერთადერთი სახიფათო მომენტი 30-ე წუთზე შექმნეს სტუმრებმა: ჩეტლიმ მასპინძელთა შეტევა ჩაშრა და 35 მეტრის გარბენის მერე დაარტყა, ოდნავ წინ გამოსული ტეილორი დაფრთხა, თუმცა შვებით ამოისუნთქა, როცა მისი საქმე ძელმა მოითავა. ეს იყო და ეს, დანარჩენ დროს „დერბი" მძლავრობდა, მაგრამ მასპინძელთა შეტევებს ხან ფეტისი შლიდა, ხანაც მეკარეს ძელი ეხმარებოდა.

### ლესტერი 0:1 ვესტ ჰემი

**ლესტერი:** კელერი, გრეისონი ჯაპი, პრაიორი, ელიოტი, უოლში იზეტი, ლენონი, პარკერი, კლერიჯი, ჰესკი
**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, პოტსი, ფერდინანდი, ჰოლი, რიპერი, მონკური, ლომასი, ჰიუზი, პორფირიო, ჰართსონი, კიტსონი (დოუი 77)
**გოლი:** მონკური (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 34 | 20 | 9 | 5 | 69:39 | 69 |
| არსენალი | 36 | 18 | 11 | 7 | 59:30 | 65 |
| ლივერპული | 35 | 18 | 10 | 7 | 58:33 | 64 |
| ნიუკასლი | 34 | 17 | 9 | 8 | 67:40 | 60 |
| ასტონ ვილა | 36 | 16 | 10 | 10 | 43:31 | 58 |
| შეფილდი | 35 | 14 | 14 | 7 | 48:44 | 56 |
| ჩელსი | 36 | 15 | 10 | 11 | 56:54 | 55 |
| უიმბლდონი | 35 | 13 | 10 | 12 | 45:44 | 49 |
| ტოტენჰემი | 36 | 13 | 7 | 16 | 42:47 | 46 |
| ლიდსი | 36 | 11 | 11 | 14 | 27:37 | 44 |
| დერბი | 36 | 10 | 13 | 13 | 42:54 | 43 |
| ევერტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 43:52 | 42 |
| ბლექბერნი | 35 | 9 | 14 | 12 | 40:37 | 41 |
| ლესტერი | 35 | 10 | 10 | 15 | 39:50 | 40 |
| საუთჰემპტონი | 36 | 9 | 11 | 16 | 48:55 | 38 |
| ვესტ ჰემი | 35 | 9 | 11 | 15 | 34:45 | 38 |
| ქოვენთრი | 36 | 8 | 14 | 14 | 35:51 | 38 |
| სანდერლენდი | 36 | 9 | 10 | 17 | 32:52 | 37 |
| მიდლსბრო | 34 | 9 | 4 | 16 | 44:54 | 33 |
| ნოტინგემი | 36 | 6 | 15 | 15 | 30:53 | 32 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შირერი (ნიუკასლი) | 24 |
| რაიტი (არსენალი) | 21 |
| ფაულერი (ლივერპული) | 18 |
| იორკი (ასტონ ვილა) | 17 |
| ევანსი (საუთჰემპტონი) | 16 |

## პირველი დივიზიონი

ვულვერჰემპტონი — გრიმსბი 1:1, კრისტალ პალასი [illegible] 3:2 [illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 44 | [illegible] | 13 | 4 | 94:50 | 94 |
| ბარნსლი | 44 | 21 | 14 | 9 | 73:50 | 77 |
| ვულვზი | 44 | 21 | 10 | 13 | 66:49 | 73 |
| იფსვიჩი | 44 | 19 | 13 | 12 | 66:39 | 70 |
| შეფილდი | 44 | 19 | 12 | 13 | 74:52 | 69 |
| კრისტალ პალ. | 44 | 18 | 13 | 13 | 75:47 | 67 |
| პორტ ვეილი | 44 | 17 | 15 | 12 | 56:52 | 66 |
| პორტსმუთი | 44 | 19 | 8 | 17 | 58:53 | 65 |
| ტრანმერი | 44 | 17 | 13 | 14 | 59:54 | 64 |
| ქუინზ პარკი | 44 | 17 | 12 | 15 | 62:57 | 63 |
| ნორვიჩი | 44 | 17 | 11 | 16 | 63:65 | 62 |
| ბირმინგემი | 44 | 16 | 14 | 14 | 49:97 | 62 |
| სტოკ სიტი | 44 | 17 | 10 | 17 | 49:55 | 61 |
| ჩარლტონი | 43 | 16 | 10 | 17 | 51:61 | 58 |
| სიტი | 44 | 16 | 9 | 19 | 56:58 | 57 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 13 | 15 | 16 | 65:70 | 54 |
| ოქსფორდი | 44 | 15 | 9 | 20 | 59:65 | 54 |
| რედინგი | 44 | 14 | 12 | 18 | 54:64 | 54 |
| სვინდონი | 44 | 15 | 8 | 21 | 52:63 | 53 |
| ჰადერსფილდი | 44 | 12 | 14 | 18 | 46:60 | 50 |
| გრიმსბი | 44 | 10 | 13 | 21 | 56:79 | 43 |
| ბრედფორდი | 43 | 10 | 12 | 21 | 43:70 | 42 |
| ოლდემი | 44 | 9 | 13 | 22 | 48:64 | 40 |
| საუთენდი | 44 | 8 | 15 | 21 | 31:80 | 39 |

## ბიჭი ხარ და, იყიდე

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა რონალდომ ესპანეთის „ბარსელონასთან" ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. კლუბის პრეზიდენტის ხოსე ლუის ნუნიესის განცხადებით, მსოფლიოს შარშანდელი საუკეთესო ფეხბურთელი „ბარსაში" 2006 წლამდე დარჩება და ამ ხნის განმავლობაში 65 მილიონ გირვანქას მიიღებს. მისივე თქმით, თუ რომელიმე კლუბი რონალდოს შეძენას მოინდომებს 2006 წლამდე, 107 მილიონი დოლარის გაღება მოუწევს.

## ფეხბურთის რუკასთან



**ავსტრიელმა** მწვრთნელმა ბერნდ კრაუსმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი სოსიედადის „რეალთან". კრაუსი 4 წელი წვრთნიდა მიონჰენგლადბახის „ბორუსიას", რომელსაც 1995-ში ქვეყნის თასი მოაგებინა, შარშანდელი უიღბლობისთვის კი გაათავისუფლეს. 39 წლის ავსტრიელი ხავიერ ირურეტას შეცვლის.

**სამხრეთ ამერიკაში გაიმართა ლიბერტადორესის თასის მეორე წრის პირველი მატჩები. არგენტინულმა კლუბებმა „რასინგმა" და „რივერ პლეიტმა" 3:3 ითამაშეს, ლიმაში იქაურმა „სპორტინგ კრისტალმა" „ველეზ სარსფილდთან" 0:0 ითამაშა, ასუნსიონში „გუარანიმ" თასის 1995 წლის მფლობელი ბრაზილიის „გრემიო" 2:1 დაამარცხა, ვენესუელაში „მინერვენი" და ბოლივიის „ბოლივარი" ფრეს დაჯაბულდნენ — 1:1. კოლუმბიის „მილინარიოსმა" კი ბოგოტაში ურუგვაის „პენიაროლს" 2:0 სძლია.**

**გერმანიის** ჩემპიონატში „ზანქტ პაულიმ" შინ „ჰანზასთან" 0:1 წააგო.

**რუმინეთში პოლიციამ ბუქარესტის „სტიაუას" 27 გულშემატკივარი დააკავა, რომლებმაც თავიანთი კლუბის გამარჯვება მაღაზიების ვიტრინებისა და მანქანის შუშების მსხვრევით „აღნიშნეს". „სტიაუამ" შინ 6:2 გაანადგურა მეტოქე, მეორე დედაქალაქელმა, „დინამომ" კი 1:2 წააგო პირველი დივიზიონის ლიდერ „ნაციონალთან".**

**კოლუმბიის** თავქარიან მეკარეს რენე იგიტას მისმა კლუბმა „ატლეტიკო ნასიონალმა" ფულადი ჯარიმა დააკისრა ვარჯიშების გაცდენისა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო. იგიტა კლუბს სამი თვის წინ შეუერთდა, მას შემდეგ, რაც დეკემბერში მიატოვა.

**ურუგვაელი გუსტავო პოიეტი, რომელიც ესპანეთის „სარაგოსაში" თამაშობს, შესაძლოა ლონდონის „ჩელსიში" გადავიდეს. ესპანური პრესის ცნობით, 24 წლის ნახევარმცველი დაყაბულდა ლონდონის კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს.**

**შოტლანდიის** თასის მეორე ნახევარფინალში უეჭველმა ფავორიტმა გლაზგოს „სელტიკმა" 0:1 მარცხი იწვნია „ფალკირკისგან" და თასის ფინალისკენ გაუხსნა გზა. 24 მაისს „ფალკირკი" „კილმარნოკს" შეერკინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისის ნაკრების ნაღდ მაისურს პატრონი ჰყავს, დანარჩენები კი ესპანეთის საგზურს დაელოდნონ

ჩვენს დროში იშვიათია კაცი, თუნდაც 50 თეთრი რომ ჰქონდეს გადასაგდები, არც ათასგვარი ლატარიისა თუ კონკურსების ნდობა აქვს ხალხს, ამიტომაც, CROCO-სა და TCI-ის მიერ მოწყობილ კონკურსში 2310 ბილეთი რომ დაგროვდა, გაგვიკვირდა კიდეც. თუმცა ერთიც არის — ფეხბურთი საგანგებო რამაა და მისი ცოდნით მეტ-ნაკლებად ყველას სურს თავის მოწონება, თანაც მთავარი პრიზიც მეტად სოლიდური იყო.

სანამ ესპანეთში წასვლის ყველაზე რეალური კანდიდატების სიას შემოგთავაზებდეთ, მანამდე კონკურსის პირველ სამ, ერთი შეხედვით იოლი კითხვების სწორ პასუხებს გაგაცნობთ.

❶ ეს მართლაც უიოლესი კითხვა იყო და პასუხი — ტერი ვენეიბლზი — მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გასცა, თუმცა ალაგ-ალაგ რობსონის, ტეილორის, ჰოდლისა და თვით სერ ალფ რამსეის გვარებსაც წააწყდებოდით.

❷ აქაც ბევრმა გამოითვალა, რომ ამჟამინდელ პრემიერლიგაში 11 გუნდია, ოდესმე თუნდაც ერთ ევროთასს რომ დაუფლებია. თითქოს ადვილი იყო ნებისმიერ ცნობარში ამათი ვინაობის ამოკითხვა, მაგრამ არასწორი პასუხიც საკმაო იყო. მომავალში რომ აღარავინ შეცდეს, შეგახსენებთ ამ 11 გუნდს:

მანჩესტერ იუნაიტედი — ჩთ 68; თთ 91
ლივერპული — ჩთ 77, 78, 81, 84; უთ 73, 76
ნოტინგემი — ჩთ 79, 80
ტოტენჰემი — თთ 63; უთ 72, 84
არსენალი — თთ 94; უთ 70
ლიდს იუნაიტედი — უთ 68, 71
ასტონ ვილა — ჩთ 82
ვესტ ჰემი — თთ 65
ჩელსი — თთ 71
ევერტონი — თთ 85
ნიუკასლი — უთ 69

❸ ო, ეს კი მართლაც მზაკვრული კითხვა გამოდგა. მონაწილეთა ნახევარზე მეტმა უეფას თასის 1973-74 წლების გათამაშებაში ჩვენი „დინამოს" მეტოქე „ტოტენჰემი" მიიჩნია. არადა, სწორი პასუხი გლაზგოს „სელტიკია" — ეს შოტლანდიური გუნდი 1966 წლის 26 იანვარს თბილისში კიევის „დინამოს" თასების თასის მატჩში შეხვდა.

საბოლოოდ, 2310 ბილეთიდან პირველ სამ კითხვაზე სწორი პასუხი 933-ში აღმოჩნდა. სწორედ ამ 933-ის ავტორებს აქვთ კონკურსის მთავარი პრიზის მოპოვების ურეალურესი შანსი. დღეს ამ ბილეთების და მათი ავტორების სრულ ნუსხას გთავაზობთ, თუმცა შესაძლოა (ნაკლებად სავარაუდო კია), 29 და 30 აპრილის მატჩების ანგარიშები ამათ ვერ გამოიცნონ და მაშინ გამარჯვებული 4 კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი აღმოჩნდება, აქ კი კონკურსის სხვა მონაწილეებსაც გაუჩნდებათ შანსი.

მოკლედ, დაველოდოთ 30 აპრილს, თუმცა კონკურსის ერთ მონაწილეს, თბილისელ მოსწავლე შორენა სეფაშვილს შეუძლია აღარაფერს დაელოდოს — მან 110, ყველაზე მეტი ვარიანტი ითამაშა და მართალია, „სელტიკი" ვერ გამოიცნო, წამახალისებელი პრიზი, ინგლისის ნაკრების ნაღდი მაისური სწორედ მას ხვდა წილად.

## შეპირებისამებრ, გთავაზობთ იმ ბილეთების სრულ ნუსხას, რომელთაც მოგების შანსი აქვთ

| | | |
|---|---|---|
| ვახტანგ ათაბეგაშვილი | 2 | 2:1-1:0, 1:1-3:1 |
| კობა ანდრიაძე | 1 | 1:3-1:2 |
| ნიკა ახათიანი | 2 | 0:1-2:1, 4:0-2:0 |
| ბეხო ახალაძე | 6 | 1:0-2:0, 3:0-2:0, 1:1-2:1, 3:1-2:1, 2:0-2:0, 0:1-1:1 |
| გიორგი ახვლედიანი | 20 | 1:0-3:0, 1:1-2:0, 1:1-3:0, 2:1-2:0, 1:1-2:1, 1:0-2:0, 3:1-2:0, 2:1-2:1, 1:0-3:1, 1:0-2:1, 1:1-3:1, 3:1-3:0, 3:1-2:1, 3:1-3:1, 2:1-2:0, 2:1-3:1, 2:0-3:0, 2:0-3:1, 2:0-2:0, 2:0-2:1 |
| ლევან ბახტაძე | 3 | 3:1-4:1, 2:1-1:1, 2:0-2:1 |
| რომან ბეგაშვილი | 84 | 0:1-1:0, 0:1-2:0, 0:1-3:0, 0:1-4:0, 0:1-4:1, 0:1-3:1, 0:1-2:1, 0:2-1:0, 0:2-2:0, 0:2-3:0, 0:2-4:0, 0:2-4:1, 0:2-3:1, 0:2-2:1, 1:2-1:0, 1:2-2:0, 1:2-3:0, 1:2-4:0, 1:2-4:1, 1:2-3:1, 1:2-2:1, 1:1-1:0, 1:1-2:0, 1:1-3:0, 1:1-4:0, 1:1-4:1, 1:1-3:1, 1:1-2:1, 1:0-1:0, 1:0-2:0, 1:0-3:0, 1:0-4:0, 1:0-4:1, 1:0-3:1, 1:0-2:1, 2:0-2:1, 2:0-2:0, 2:0-3:0, 2:0-4:0, 2:0-4:1, 2:0-3:1, 2:0-2:1, 3:0-1:0, 3:0-2:0, 3:0-3:0, 3:0-4:0, 3:0-4:1, 3:0-3:1, 3:0-2:1, 3:1-1:0, 3:1-2:0, 3:1-3:0, 3:1-4:0, 3:1-4:1, 3:1-3:1, 3:1-2:1, 2:1-1:0, 2:1-2:0, 2:1-3:0, 2:1-4:0, 2:1-4:1, 2:1-3:1, 2:1-2:1, 2:2-1:0, 2:2-2:0, 2:2-3:0, 2:2-4:0, 2:2-4:1, 2:2-3:1, 2:2-2:1, 0:0-1:0, 0:0-2:0, 0:0-3:0, 0:0-4:0, 0:0-4:1, 0:0-3:1, 0:0-2:1, 3:2-1:0, 3:2-2:0, 3:2-3:0, 3:2-4:0, 3:2-4:1, 3:2-3:1, 3:2-2:1 |
| მერაბ ბერიძე | 14 | 4:2-3:0, 4:1-4:0, 4:1-3:0, 3:2-4:0, 3:1-4:1, 3:1-3:1, 1:2-4:0, 3:1-3:0, 4:1-4:1, 4:0-4:0, 4:0-4:1, 1:2-3:0, 3:0-4:2, 3:1-5:0 |
| ჟანა ბერუაშვილი | 1 | 1:0-2:1 |
| კოტე ბერძენიშვილი | 12 | 1:1-3:1, 1:1-0:0, 2:0-2:0, 2:1-2:0, 3:1-2:0, 3:1-3:1, 2:1-1:1, 2:1-3:1, 0:1-2:1, 1:2-2:1, :1-2:0, 1:2-2:0 |
| ლელა ბიჩინაშვილი | 1 | 4:2-1:2 |
| კახა ბობოხიძე | 20 | 1:0-2:2, 1:0-2:1, 1:0-2:0, 1:0-1:1, 2:1-1:0, 2:1-2:2, 2:1-2:1, 2:1-2:0, 2:0-1:1, 2:0-1:0, 2:0-2:2, 2:0-2:1, 3:0-2:0, 3:0-1:1, 3:0-1:0, 3:0-2:2, 3:1-2:1, 3:1-2:0, 3:1-1:1, 3:1-1:0 |
| გიზო ბურჯანაძე | 4 | 3:0-2:0, 2:0-3:0, 1:0-3:0, 0:1-2:0 |
| გიორგი გენგიური | 16 | 1:0-2:0, 1:2-1:1, 0:1-0:1, 1:2-3:1, 1:1-1:1, 3:2-4:0, 1:1-2:1, 3:1-1:0, 3:1-1:2, 2:0-3:1, 2:1-2:0, 2:1-2:1, 2:1-3:0, 2:1-1:3, 1:0-1:0, 1:0-2:1 |
| არჩილ გირკელიძე | 32 | 3:1-5:1, 2:1-2:0, 2:1-3:1, 2:1-4:1, 2:1-5:0, 2:1-5:1, 2:1-3:0, 2:1-4:2, 1:1-5:1, 1:1-4:0, 1:1-4:1, 1:1-3:1, 1:1-2:0, 1:1-3:0, 2:0-2:0, 2:0-4:1, 2:0-3:1, 2:0-3:0, 3:0-2:0, 3:0-3:0, 3:0-3:1, 3:0-4:1, 1:2-3:1, 1:2-3:0, 0:1-2:0, 0:1-3:0, 3:2-4:1, 0:0-3:0, 3:1-4:1, 3:1-3:0, 3:1-3:1, 3:1-4:2 |
| ნოდარ გოგნელაშვილი | 4 | 3:2-3:2, 4:1-3:2, 3:1-3:2, 4:2-3:2 |
| იორამ გოდერძიშვილი | 2 | 2:0-1:0, 0:1-1:0 |
| გიორგი გოლეთიანი | 10 | 2:0-1:1, 2:0-3:2, 3:1-4:2, 2:0-3:1, 2:0-2:0, 2:1-1:0, 1:0-2:0, 3:1-3:0, 1:0-1:1, 2:1-2:1 |
| ზურაბ გრიგორაშვილი | 1 | 2:0-2:0 |
| ზურაბ გურგენიძე | 20 | 3:1-4:0, 3:0-2:0, 2:0-2:1, 0:0-1:1, 0:2-1:0, 2:2-2:0, 3:0-3:0, 1:1-0:1, 0:1-3:1, 1:1-2:0, 1:2-4:1, 1:2-1:1, 0:1-3:0, 2:1-3:1, 0:0-2:0, 2:1-4:0, 2:0-3:0, 1:0-1:0, 1:1-2:0, 3:1-4:1 |
| დავით ენდელაძე | 2 | 2:2-0:1, 1:2-1:1 |
| სერგო ვადიანი | 14 | 3:0-5:0, 2:1-4:0, 2:0-5:0, 1:0-4:1, 4:1-5:0, 2:0-2:0, 4:2-5:0, 3:1-6:0, 3:1-5:0, 3:0-4:0, 3:1-4:0, 4:0-2:0, 3:1-2:1, 4:1-2:0 |
| კოტე ვაშაყმაძე | 2 | 0:1-0:1, 3:1-4:0 |
| ილია თამაზაშვილი | 39 | 2:0-3:1, 2:0-2:0, 3:1-2:0, 3:0-3:1, 4:1-2:0, 1:1-2:0, 3:0-3:0, 2:0-2:1, 1:0-2:0, 4:1-2:2, 2:1-4:1, 1:0-3:0, 3:0-1:1, 3:1-1:1, 1:0-2:1, 1:0-1:1, 4:1-3:0, 1:0-3:1, 1:0-1:0, 3:1-3:1, 3:1-1:0, 2:0-3:0, 3:0-2:0, 2:1-2:0, 2:0-1:0, 2:0-1:1, 3:1-2:1, 3:0-1:0, 3:0-2:1, 4:1-1:0, 3:1-3:0, 2:1-3:0, 2:1-1:0, 4:1-2:1, 4:1-3:1, 2:1-3:1, 2:1-1:1, 4:1-1:1, 2:1-2:1 |
| ლაშა თანდილაშვილი | 6 | 2:3-1:3, 0:0-0:0, 1:3-2:1, 0:3-0:2, 0:2-0:3, 1:2-1:1 |
| ნინო თოდუა | 14 | 3:1-3:1, 5:1-1:0, 5:1-2:0, 5:0-1:0, 6:1-1:0, 4:1-1:0, 1:1-1:0, 4:0-2:0, 4:2-2:1, 3:0-1:0, 2:0-2:0, 1:0-1:0, 2:1-2:1, 6:3-4:0 |
| კოტე ირემაძე | 1 | 3:1-7:0 |
| ზურაბ კანდელაკი | 8 | 1:0-1:0, 4:0-1:0, 4:2-4:0, 2:0-3:1, 1:3-2:2, 3:0-2:0, 2:3-2:1, 2:1-3:0 |
| იუზა კაციტაძე | 4 | 1:1-1:0, 2:0-1:0, 3:1-2:0, 3:1-2:1 |
| ზურაბ კაჯირაშვილი | 5 | 1:1-2:0, 0:0-4:0, 2:1-2:0, 2:0-0:0, 1:0-1:0 |
| ფრიდონ კერვალიშვილი | 2 | 3:0-4:0, 3:1-2:0 |
| ზაურ კიურჯიევი | 8 | 0:1-3:0, 0:2-1:0, 3:0-2:1, 1:2-5:0, 1:1-3:1, 1:0-4:0, 2:1-2:0, 2:0-4:1 |
| გიორგი კობახიძე | 5 | 2:3-4:2, 2:2-1:0, 0:1-3:2, 3:2-0:1, 4:2-2:2 |
| ავთო კოშკაძე | 1 | 1:3-2:1 |
| დავით ლაშხია | 2 | 0:1-2:0, 1:1-3:1 |
| ზაალ მელიქია | 6 | 2:0-4:0, 1:0-3:0, 1:1-3:0, 2:0-3:0, 2:1-2:0, 2:0-2:0 |
| დავით მიქაძე | 10 | 0:1-2:1, 1:2-0:1, 2:1-1:2, 0:0-1:0, 0:1-1:1, 1:1-0:1, 0:2-2:0, 0:0-2:1, 1:0-1:0, 1:2-0:0 |
| რამაზ მჭედლიშვილი | 1 | 3:1-4:0 |
| არჩილ ნიკურაძე | 11 | 4:1-1:2, 4:0-2:0, 3:1-2:1, 2:0-1:1, 1:2-1:2, 2:0-0:1, 1:3-0:2, 3:0-1:0, 1:1-1:2, 2:1-2:0, 2:1-1:1 |
| შოთა ნიჟარაძე | 41 | 1:1-3:1, 2:1-3:1, 2:0-3:1, 4:0-3:0, 3:0-2:0, 4:1-2:0, 4:0-2:1, 1:1-2:1, 2:2-3:2, 2:1-2:1, 1:1-2:0, 3:0-4:0, 1:1-4:0, 2:0-4:0, 3:1-4:1, 4:1-4:1, 4:0-4:1, 2:0-4:1, 3:0-4:1, 2:1-4:1, 4:0-3:1, 3:1-3:0, 2:2-3:1, 4:1-3:0, 3:0-3:0, 3:0-3:1, 4:1-3:1, 3:1-3:1, 2:0-2:0, 3:1-2:0, 2:1-2:0, 4:0-2:0, 4:1-2:1, 2:0-2:1, 3:1-2:1, 3:0-2:1, 1:1-3:0, 2:1-3:0, 2:0-3:0, 3:1-4:0, 2:1-4:0 |
| ვახტანგ ნონიკაშვილი | 14 | 2:2-2:1, 5:0-0:1, 2:0-1:2, 3:0-1:1, 1:1-4:1, 1:2-3:0, 2:1-4:1, 2:0-5:1, 5:1-3:1, 3:1-4:0, 3:1-2:0, 3:0-2:0, 4:1-2:1, 4:1-2:0 |
| კახა ნონიკაშვილი | 2 | 0:0-4:0, 0:0-5:0 |
| გია ოდილავაძე | 1 | 3:0-3:0 |
| გიორგი ოდილავაძე | 1 | 3:1-2:0 |
| ლევან ოდილავაძე | 1 | 3:1-3:0 |
| მზია ოდილავაძე | 7 | 2:0-5:1, 2:0-2:0, 1:0-2:0, 2:0-3:0, 2:1-3:0, 2:1-2:0, 3:0-2:0 |
| ხოხო ოთიაშვილი | 2 | 3:0-2:0, 3:1-3:0 |
| ზურაბ პეტრიაშვილი | 12 | 2:0-3:0, 1:1-3:0, 1:0-3:1, 2:0-2:1, 1:0-2:0, 3:1-2:0, 2:0-2:0, 2:1-3:0, 3:1-3:1, 1:0-4:1, 0:0-2:0, 2:1-2:0 |
| ქეთევან ჟამიერაშვილი | 1 | 3:1-2:0 |
| ვაჟა ჟორჟოლიანი | 1 | 3:1-2:0 |
| გიორგი რამიშვილი | 2 | 2:1-4:0, 2:0-5:1 |
| დავით რეხვიაშვილი | 64 | 2:3-3:2, 1:3-3:2, 1:2-3:2, 0:1-3:2, 3:2-3:2, 3:1-3:2, 2:1-3:2, 1:0-3:2, 2:3-2:1, 1:3-2:1, 1:2-2:1, 0:1-2:1, 3:2-2:1, 3:1-2:1, 2:1-2:1, 1:0-2:1, 2:3-3:1, 1:3-3:1, 1:2-3:1, 0:1-3:1, 3:2-3:1, 3:1-3:1, 2:1-3:1, 1:0-3:1, 2:3-3:0, 1:3-3:0, 1:2-3:0, 0:1-3:0, 3:2-3:0, 3:1-3:0, 2:1-3:0, 1:0-3:0, 2:3-2:0, 1:3-2:0, 1:2-2:0, 0:1-2:0, 3:2-2:0, 3:1-2:0, 2:1-2:0, 1:0-2:0, 2:3-1:0, 1:3-1:0, 1:2-1:0, 0:1-1:0, 3:2-1:0, 3:1-1:0, 2:1-1:0, 1:0-1:0, 2:3-1:3, 1:3-1:2, 1:2-1:2, 0:1-1:2, 3:2-1:2, 3:1-1:2, 2:1-1:2, 1:0-1:2, 2:3-0:1, 1:3-0:1, 1:2-0:1, 0:1-0:1, 3:2-0:1, 3:1-0:1, 2:1-0:1, 1:0-0:1 |
| მამუკა სალუქვაძე | 6 | 1:1-2:0, 2:0-3:1, 0:0-2:0, 1:2-1:0, 2:1-2:0, 0:1-3:1 |
| ლელი სვიანაძე | 9 | 0:1-0:4, 2:1-1:1, 0:4-1:4, 1:3-0:3, 1:1-2:1, 0:2-1:4, 1:3-4:1, 1:4-0:5, 1:3-1:2 |
| თემურ სიყმაშვილი | 6 | 3:0-2:0, 1:2-2:0, 2:2-1:1, 3:1-2:1, 2:0-1:0, 2:1-1:1 |
| ვასილ სუხიშვილი | 18 | 0:1-2:0, 2:1-2:0, 1:2-2:0, 1:1-2:0, 0:0-2:0, 4:1-2:0, 1:0-2:0, 1:2-2:1, 2:1-2:1, 0:1-2:1, 1:1-2:1, 0:0-2:1, 4:1-2:1, 1:0-2:1, 1:1-3:0, 4:1-3:0, 0:1-1:1, 1:1-3:1 |
| გოჩა ფხოველიშვილი | 9 | 4:1-0:0, 3:0-3:0, 0:0-0:1, 1:1-2:0, 1:0-1:1, 0:1-1:1, 3:1-1:3, 1:3-1:3, 0:1-0:2 |
| ფრიდონ ღონღაძე | 77 | 1:1-1:0, 2:1-1:2, 2:1-0:1, 2:1-0:0, 2:1-1:1, 2:1-2:1, 2:1-3:1, 2:1-4:1, 2:1-4:0, 2:1-3:0, 2:1-2:0, 2:1-1:0, 3:1-1:2, 3:1-0:1, 3:1-0:0, 3:1-1:1, 3:1-2:1, 1:0-1:0, 0:0-1:2, 0:0-0:1, 0:0-0:0, 0:0-1:1, 0:0-2:1, 0:0-3:1, 0:0-4:1, 0:0-4:0, 0:0-3:0, 0:0-2:0, 0:0-1:0, 1:1-1:2, 1:1-0:1, 1:1-0:0, 1:1-1:1, 1:1-2:1, 1:1-3:1, 1:1-4:1, 1:1-4:0, 1:1-3:0, 1:1-2:0, 3:1-3:1, 3:0-1:2, 3:0-0:1, 3:0-0:0, 3:0-1:1, 3:0-2:1, 3:0-3:1, 3:0-4:1, 3:0-4:0, 3:0-3:0, 3:0-2:0, 3:0-1:0, 2:0-4:0, 2:0-1:2, 2:0-0:1, 2:0-0:0, 2:0-1:1, 2:0-4:1, 2:0-3:1, 2:0-2:1, 2:0-3:0, 2:0-2:0, 2:0-1:0, 1:0-1:2, 1:0-0:1, 1:0-0:0, 1:0-1:1, 1:0-2:1, 1:0-3:1, 1:0-4:1, 1:0-4:0, 1:0-3:0, 1:0-2:0, 3:1-4:1, 3:1-4:0, 3:1-3:0, 3:1-1:0, 3:1-2:0 |
| ირაკლი შენგელია | 26 | 2:1-2:0, 2:1-3:1, 2:0-2:1, 2:1-3:0, 3:1-3:1, 3:0-2:0, 2:0-3:0, 2:0-2:0, 4:1-3:0, 2:1-1:0, 1:0-2:0, 2:1-2:1, 1:0-3:1, 4:0-3:1, 0:0-2:0, 1:1-2:0, 0:1-3:1, 2:1-4:0, 1:0-2:1, 3:1-4:1, 3:1-3:0, 3:2-4:1, 2:0-4:0, 3:1-2:0, 3:1-2:1, 2:0-1:0 |
| ნუგზარ შენგელია | 14 | 4:0-2:1, 2:0-2:0, 3:0-1:0, 1:0-1:1, 2:1-1:0, 3:1-1:2, 0:0-0:1, 1:1-2:0, 1:2-1:1, 4:1-3:0, 4:2-3:1, 1:2-0:2, 2:0-4:0, 3:1-1:1 |
| ემილიანე ჩარგაზია | 25 | 1:2-3:0, 0:1-2:0, 3:1-0:1, 1:0-3:1, 1:1-3:0, 3:0-2:0, 1:0-3:0, 4:1-3:0, 2:0-4:1, 1:1-4:0, 2:0-3:0, 2:0-2:0, 2:2-3:0, 2:1-2:0, 1:2-3:0, 0:1-3:0, 3:0-4:0, 1:1-3:1, 1:1-2:0, 0:1-4:0, 0:2-4:1, 1:2-4:0, 0:2-4:1, 1:2-3:1, 0:2-3:0 |
| დათო ჩაჩანიძე | 10 | 2:1-4:0, 4:1-3:1, 5:1-4:0, 1:0-2:0, 3:1-2:0, 4:0-3:1, 2:0-1:0, 3:0-6:1, 1:1-3:0, 3:2-6:1 |
| ზაზა ჩაჩხიანი | 3 | 1:2-3:1, 3:1-2:1, 2:0-2:0 |
| კახა ჩაჩხიანი | 11 | 0:1-2:0, 0:0-1:0, 0:0-1:1, 2:1-0:1, 2:1-1:0, 2:1-1:1, 1:0-1:0, 1:0-1:1, 1:1-1:0, 1:1-1:1, 0:0-0:1 |
| ირაკლი ჩილაჩავა | 10 | 1:3-3:1, 2:3-3:2, 1:2-2:0, 1:1-4:0, 2:2-3:0, 0:1-2:0, 0:2-2:0, 1:1-1:1, 0:3-3:0, 3:3-3:0 |
| ვახტანგ ჩიქოვანი | 2 | 2:2-2:0, 3:3-2:0 |
| ალექსანდრე ჩოგოვაძე | 1 | 1:3-1:1 |
| გიორგი ჩოგოვაძე | 1 | 2:0-2:0 |
| გოჩა ჩოგოვაძე | 1 | 3:1-3:0 |
| ლაშა ჩხარტიშვილი | 18 | 1:0 - 3:0, 2:2-1:0, 1:2-2:2, 3:2-2:3, 2:3-3:0, 1:2-3:0, 0:2-1:1, 2:0-3:0, 2:1-3:0, 3:1-0:2, 0:0-2:0, 1:1-3:0, 0:2-2:0, 0:1-2:0, 3:0-3:0, 1:1-2:0, 1:3-2:1, 2:2-0:1 |
| შოთა ჩხეიძე | 2 | 1:1-2:1, 2:1-1:1 |
| გოჩა წერეთელი | 1 | 1:1-2:1 |
| გულბათ წიფურია | 1 | 0:0-1:0 |
| ბაქარ ჭეიშვილი | 100 | 1:1-2:1, 1:1-2:0, 0:1-3:0, 0:1-2:1, 0:0-3:1, 0:0-1:1, 0:0-2:0, 0:0-1:0, 0:0-2:1, 0:0-3:0, 0:0-0:0, 0:0-4:0, 0:0-2:2, 0:0-1:2, 0:2-2:2, 0:2-1:2, 0:2-3:0, 0:2-2:1, 0:2-1:0, 0:2-2:0, 1:0-4:0, 1:0-1:1, 1:0-3:1, 1:0-1:2, 1:0-2:2, 0:1-1:0, 1:0-1:0, 0:1-2:0, 0:1-2:2, 0:1-1:2, 0:1-3:1, 0:1-1:1, 0:1-4:0, 0:1-0:0, 1:1-2:2, 1:1-1:2, 1:1-3:1, 1:1-1:1, 1:1-4:0, 1:1-3:0, 1:2-3:1, 1:2-1:1, 1:2-4:0, 1:2-0:0, 1:2-3:0, 1:2-2:1, 1:2-1:0, 1:2-2:0, 3:1-3:0, 3:1-2:1, 3:1-2:0, 3:1-1:0, 3:1-0:0, 3:1-3:1, 3:1-1:1, 3:1-2:2, 3:1-1:2, 1:0-2:0, 1:0-3:0, 1:0-0:0, 3:0-3:1, 3:0-1:1, 3:0-0:0, 3:0-4:0, 3:0-3:0, 3:0-2:1, 3:0-2:0, 3:0-1:0, 2:0-3:1, 2:0-1:1, 2:0-0:0, 2:0-4:0, 2:0-3:0, 2:0-2:1, 2:0-2:0, 2:0-1:0, 2:0-1:2, 2:0-2:2, 1:2-2:2, 1:2-1:2, 2:1-1:0, 1:1-0:0, 3:1-4:0, 1:1-1:0, 0:2-4:0, 0:2-1:1, 0:2-0:0, 0:2-3:1, 1:0-2:1, 2:1-2:2, 2:1-1:2, 2:1-3:1, 2:1-1:1, 2:1-0:0, 2:1-4:0, 2:1-3:0, 2:1-2:1, 2:1-2:0, 3:0-1:2, 3:0-2:2 |
| გიორგი ჭელიძე | 3 | 2:0-3:0, 3:1-4:0, 3:1-3:1 |
| ნუგზარ ხოხიტაშვილი | 2 | 1:2-1:2, 2:1-1:2 |
| გიორგი ხუციშვილი | 10 | 0:1-2:1, 2:0-3:0, 2:0-3:1, 2:0-2:0, 2:1-3:1, 0:1-2:0, 1:1-2:0, 1:2-2:0, 2:1-2:1, 1:1-3:1 |
| ზურაბ ჯიოევი | 22 | 0:0-2:0, 0:0-2:1, 1:0-3:0, 3:0-3:1, 2:0-4:0, 3:1-4:0, 3:1-3:0, 1:0-3:0, 4:1-4:0, 4:0-3:2, 1:0-2:0, 3:0-4:0, 4:1-3:0, 3:1-1:0, 2:0-4:2, 3:1-5:0, 3:0-4:0, 2:0-3:0, 3:0-3:0, 2:0-4:0, 1:0-4:1, 3:1-0:0 |

3-4 მაისი 1997 წ.
15 საათი

სპორტის სასახლე

# «კავკასიის თასი -97»

პირველად საქართველოში სამეჯლისო, სპორტული ცეკვების ეროვნული ასოციაცია და მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი აწყობს

## «კავკასიის თასის»

გათამაშებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ოსეთის, დაღესტნის, ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მოცეკვავე შემსრულებლები. აგრეთვე, მოწვეული სტუმრები: გერმანიიდან, ავსტრიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, ლატვიიდან...









Tbilisi - 96



რეკლამის განთავსების მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: „მუშტაიდის" ბაღი, სამეჯლისო ცეკვების სტუდია «თელა».

ტელეფაქსი: 96-52-75, ტელეფონი 34-41-51

# რა თამაში წააგდინეს

**საქართველოს ჩემპიონატი**

ვერის ბაღი. 24 აპრილი
მეორე ნახევარფინალური მატჩი

**ვითა — ქიმიკოსი 97:78**

**ვითა:** უსტიაშვილი (2), ხხეიძე (11), ორმოცაძე (8), ქარაბაკი (16), ბერუაშვილი (14); თორთლაძე (5), დადიანი (12), კოკოლიშვილი (8), ტურაშვილი (6), ნაცვლიშვილი (9), ტულუში (3), კობეშავიძე (3)
**ქიმიკოსი:** გაბისონია (24), კიკვიძე (4), გოგოლაძე (11), ნიკლაური (11), ბოისა (22); კეჭაყმაძე (2), ტაბალუა (8), კოქლამაზაშვილი (2), ჯიმშელეიშვილი (4)
**მსაჯები:** ანდრიაძე, თოიძე

ვითელებს, საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე, მართლაც ძლიერი და თანაბარძალოვანი შემადგენლობა ჰყავთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი თამაშის ხარისხი ერთ-ორ ან თუნდაც ოთხ-ხუთ ლიდერზე არაა დამოკიდებული. საერთოდაც, ვერც განსაზღვრავ, რომელი მოთამაშეა ძირითადი ხუთეულის წევრი და რომელი სათადარიგოსი. ამ შეხვედრაშიც ვითელები ერთ-ორ კაცს კი არა, ერთდროულად მთელ ხუთეულს ცვლიდნენ. სასტარტო ხუთეულმა საწყის სამ წუთში გადაწყვიტა მატჩის ბედი და მე-10 წუთზე, როცა იგი მეორე ხუთეულმა შეცვალა, ანგარიში 27:11 იყო „ვითას“ სასარგებლოდ. მეორე ხუთეულმაც თავისი წილი დაამატა სხვაობას და პირველი ტაიმი „ვითამ“ 25 ქულით მოიგო 55:30.

მეორე ტაიმში ვითელები შედარებით მოეშვნენ, უფრო კი დაცვაში და „ქიმიკოსმა“ რამდენადმე შეამცირა სხვაობა. ამ წყვილში მესამე შეხვედრის საჭიროება რომ არ იქნებოდა, ეჭვიც არავის ეპარებოდა.

**დინამო — სდასუ 76:75**

**დინამო:** ქლენტი (5), ვაშაკიძე (2), ოთიურიძე (7), მაჭარაძე, ბეჟანიშვილი (7); მაისურაძე (4), ხოშტარია (16), სხიერელი (2), ცხვედიანი (14), კილაძე (19)
**სდასუ:** ბენდელიანი (2), დავითულიანი (10), აბრამიძე (20), ჩუბინიძე (10), დერიუგინი (33); მუშკუდიანი, ეგუტია, ბერეკაშვილი
**მსაჯები:** მაჩალაძე და მოლოდინაშვილი

ამ მატჩში მართლაც ფანტასტიკური ამბები მოხდა და, რომ არა ბოლოს მომხდარი, კალათბურთის გულშემატკივრის ხსოვნას სასიამოვნოდ შემორჩებოდა.

დასაწყისი ძალზე წააგავდა წინა შეხვედრისას, ოღონდ ამჯერად გუნდებმა როლები გაცვალეს. დერიუგინმა პირველსავე წუთზე გახსნა ანგარიში. შემდეგ დავითულიანის გარღვევა, კვლავ დერიუგინი და 6:0 — სდასუ წინაა. როცა ქლენტმა მე-4 წუთზე დინამოელთაგან პირველმა ჩააგდო, ყველას ეგონა, ახლა კი გაწონასწორდა თამაშიო, მაგრამ ის, რაც უნივერსიტეტელებმა მოიმოქმედეს, მართლაც უჩვეულო იყო. დერიუგინი ისევე აგდებდა, როგორც ახალგაზრდობაში, აბრამიძეს სამქულიანები წაუვიდა, ჩუბინიძე მშვენივრად იბრძოდა ფარქვეშ, დავითულიანი ეფექტურად გადიოდა ფარზე, ბენდელიანიც კარგად ანაწილებდა პასებს და ანგარიშიც იზრდება. მე-6 წუთზე, აბრამიძის სამქულიანის შემდეგ, 13:4, მე-10 წუთზე 21:6 აქ მოსეშვილი პირველად ცვლის მოთამაშეს, შემოდის ხოშტარია, რომელიც მაშინვე აგდებს ბურთს, მაგრამ ამით ბევრი არაფერი იცვლება, დინამოელებს არაფერი გამოსდით და მე-12 წუთზე ანგარიშია 27:11 სდასუს სასარგებლოდ. მოედანზე მაისურაძე შემოდის, შემდეგ კილაძე, მაგრამ სტუდენტების შეჩერება შეუძლებელია. მე-15 წუთი, დერიუგინის ჩინებული ტყორცნა და 44:15. სდასუ 29 (!) ქულას იგებს. დინამოელებმა პრესინგს მიმართეს. სდასუს ხუთეული კი დაიღალა (შეუცვლელად ითამაშა) და „დინამო“ სხვაობას ამცირებს, მაგრამ ტაიმის ბოლოს იგი მაინც საგრძნობია — 49:30.

მეორე ტაიმს უკვე „დინამო“ იწყებს თავბრუდამხვევ ტემპში, ცხვედიანის ორი ზუსტი სამქულიანი, იქვე ხოშტარიას გასვლა და სხვაობა თვალსა და ხელშუა კლებულობს. სტუდენტები ძალზე ცუდად ესვრიან საჯარიმოებს და მათ მიერ შეტევაში მოპოვებულ თითო ქულას, დინამოელები 2-3-ით პასუხობენ. ალბათ, სტუდენტებს დიდი სხვაობის დროს უნდა მიეცათ რომელიმე ძირითადი მოთამაშისთვის ამოსუნთქვის საშუალება, ახლა კი, როცა დინამოელები ასეთი ძალით უტევენ, ამას ველარ ბედავენ. შესანიშნავად თამაშობს დინამოელი კილაძე, რომელსაც სტუდენტებმა ვერაფერი მოუხერხეს. იგი შორიდანაც ზუსტად ისვრის და ფარზეც ჩინებულად თამაშობს. მეორე ტაიმის შუაწელზე სხვაობა ხუთი ქულაღაა 58:53. სდასუ პირველ შეცვლას აკეთებს — ჩუბინიძის ნაცვლად — მუშკუდიანი. დინამოელებიდან ხუთი პერსონალურის გამო მოედანს ტოვებს ბეჟანიშვილი, მაგრამ იმ დღეს იგი არ იყო დინამოელთა ლიდერი. ეს მისია კილაძემ იტვირთა. მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე იგი სამქულიანით სხვაობას სამამდე ამცირებს — 58:61, წუთის მერე კი, ხოშტარიას სამქულიანის შემდეგ „დინამო“ პირველად წინაურდება 63:62. სტუდენტთა ლიდერებს აბრამიძეს და დავითულიანს დაღლა დაეტყოთ (მარტო ამ მატჩის კი არა, მთელი სეზონის, რომელმაც მათ მხრებზე გადაიარა). მხოლოდ დერიუგინს არ ეტყობა არაფერი და სდასუ ათანაბრებს ანგარიშს. აბრამიძე ცხვედიანის კიდევ ერთი სამქულიანს პასუხობს, დაძაბულობა კულმინაციურია, სტუდენტები უკანასკნელი ძალებით იბრძვიან, მაგრამ უბედურება იქიდან მოვიდა, საიდანაც არავინ ელოდა. აქ მოხდა ინციდენტი, რომელზეც პირველ გვერდზეა ლაპარაკი. მსაჯებმა სდასუს ტექნიკური შენიშვნაც მიუმატეს და ხოშტარიამ ოთხი საჯარიმოდან ორი ჩააგდო — 75:73. სტუდენტები შეტევაზე გადავიდნენ, დავითულიანმა ჩააგდო, მაგრამ შემდეგ კილაძეს დაეჯახა და ვალერიმ ორიდან ერთი გამოიყენა. 76:75 „დინამოს“ სასარგებლოდ. 23 წამი და ბურთი სდასუს აქვს აბრამიძე დიდხანს ატარებს ბურთს, მატჩის ბედს კი ბერეკაშვილს ანდობს, დათო შორიდან ისვრის, მაგრამ უშედეგოდ 76:75 — „დინამო“ ფინალშია.

ფინალები და მატჩი მესამე ადგილისათვის 2 და 3 მაისს გაიმართება.

**ძოტე მგალობლიშვილი**

# ბერძნებმა ბარსა დაიბრიყვეს

**ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. რომი. 24 აპრილი. PALAEUR**

**მესამე ადგილისთვის**

**ოლიმპია — ვილერბანი 86:79**

**ოლიმპია:** ჰორვატი (5), სტეფანია (2), დანეუ (1), კრალიევიჩი (11), ჰაუპტმანი (12); მილიჩი (17), იურკოვიჩი (14), მაკდონალდი (10), ჰენრი (5), ტუშეკი (9)
**ვილერბანი:** რადი (8), ოტარა (4), ბურჟენი (2), პლიუვი (2), ნებო (10); დიგბო (22), ჰოვარდი (20), რიპე (2), ადამსი (5), სმიტი (4)

„როიტერის“ მატჩისწინა მიმოხილვაში ეწერა: საინტერესო იყო, თუ შეძლებდა ქართველი ვლადიმერ სტეფანია წინა შეხვედრაში ნაჩვენები თამაშის გამეორებას, რათა ნბა-ს მზვერავებისთვის თავი მოეწონებინა. თუ ეს მოხდებოდა, სტეფანიას ნბა-ს წლევანდელი დრაფტის პირველ წრეში მოხვედრა გარანტირებული ექნებოდა.

მაგრამ „ოლიმპიას“ მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა ვოვა პირველ ტაიმის ბოლოს შეიყვანა. სულ სტეფანიამ 8 წუთი ითამაშა, ერთხელ ისროლა და ჩააგდო და ერთი მოხსნაც გააკეთა. თუმცა, მიმომხილველებმა აღნიშნეს, რომ ნბა-ს მზვერავებმა სტეფანიას ბევრი რამ მოუწონეს, კერძოდ, სისწრაფე და რეაქტიულობა.

თავად თამაში ვერაფერი შვილი გამოდგა. ფრანგები დასუსტებულნი ჩანდნენ, სლოვენიელები კი ხისტი დაცვით თამაშობდნენ და სწრაფი გარღვევებით ზრდიდნენ უპირატესობას. „ვილერბანმა“ ნაწილობრივ გამოასწორა მდგომარეობა მეორე ტაიმში, ძირითადად, ზონური დაცვის გამკაცრებით. არაფერი გამოვიდა, რადგან ამან „ოლიმპიის“ შეტევები მხოლოდ ნაკლებად ინტენსიური გახადა.

**ფინალი**

**ოლიმპიაკოსი — ბარსელონა 73:58**

**ოლიმპიაკოსი:** რივერსი (26), სიგალასი (7), ნაკიჩი, ტარლაცი (11), ფასულასი (6); ველპი (2), ტომიჩი (9), პაპანიკოლაუ (11), ბაკაციასი (1), გალაქტეროსი
**ბარსელონა:** ჯორჯევიჩი (6), ფერნანდესი, კარნიშოვასი (14), ხიმენესი (16), რივასი (6); ესტელერი (3), დუენიასი (2), ბოში, ანდრეუ (2), ხოფრესა (9)

ესაც ასე დამტკიცდა, რომ ამერიკელი დევიდ რივერსი ევროპის საუკეთესო გამთამაშებელია. 26 ქულას თავი რომ ვანებოთ, მან ისე ამოკეტა „ბარსას“ ჯორჯევიჩი, რომ ამან 9 ნასროლი ბურთიდან მხოლოდ 2 ჩააგდო, ხოლო ორი სამქულიანიდან — ვერცერთი. რივერსმა სამართლიანად დაიმსახურა „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშის ტიტული.

ეს გუნდები ამ ტურნირში აქამდე ძლიერ იჩაგრებოდნენ: „ბარსას“ ოთხი ფინალი ჰქონდა წაგებული, „ოლიმპიაკოსს“ — ორი, თანაც ორივეჯერ ესპანურ კლუბებთან.

მატჩის ბედი მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე გადაწყდა, როცა ბერძნებმა ზედიზედ 8 ქულა ჩააგდეს, ხოლო სიგალასის სამქულიანით 39:29 გახდა. ორ წუთში „ბარსელონას“ პუერტორიკელი რივასიც გავარდა და ისედაც ფარწაგებულ ესპანელებს მთლად ბოლო მოეღოთ.

ბერძნებს ფარზე დიდი უპირატესობა ჰქონდათ (მოხსნებში 39:27 მოიგეს), რითაც „ბარსელებს“ ფარქვეშიდან სროლის საშუალება შეეზღუდათ. ამიტომ მათი ტანმაღალი მოთამაშეები ზემოთ ამოიწივნენ — უშედეგოდ. ვერც ბერძნებს მისდიოდათ კარგად შორი სროლები, მაგრამ ორივე ფარის კონტროლით ინიციატივასაც ფლობდნენ და უპირატესობასაც.

მაგრამ ეს ტაიმის მიწურულს ხდებოდა. დებიუტი „ბარსამ“ მოიგო — 16:10, ამ დროს მწვრთნელმა რენესესმა ჯორჯევიჩი და კარნიშოვასი დაასვენა. სანამ ესენი სულს ითქვამდნენ, რივერსმა 7 ქულა ჩააგდო, მისმა გუნდმა კი ეს მონაკვეთი 11:2 მოუგო და 21:18 დაწინაურდა.

მეორე ტაიმში „ოლიმპიაკოსმა“ ფიზიკურად იძალა და ესპანელები წელში გადატეხა. ეს თქვა კიდეც მატჩის შემდეგ რენესესმა: „გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ძალა. მათ ფიზიკურად გვაჯობეს. ვცდილობდით ფარქვეშ შესვლას, მაგრამ ტარლაცის და ფასულასის მსგავსი კალათბურთელებისთვის გვერდის აქცევა არცთუ ისე ადვილია.“

„ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა კი წარმატება დაცვას „გაადაბრადა“: „მთავარი ის იყო, რომ „ბარსელონა“ მთელს მოედანზე შევზღუდეთ, უფრო მთავარი კი — ჯორჯევიჩი არ გავანძრიეთ.“

„ოლიმპიაკოსმა“ პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი და ჯილდო კვლავ საბერძნეთში დატოვა. შარშან თასი „პანათინაიკოსმა“ დაისაკუთრა, იმავე „ბარსელონას“ ძლევით.

**NBA. ფლეი-ოფი**

**მაიამი — ორლანდო 99:64**

„მაიამის“ კოშონ ლენარდმა (24 ქულა) 11 ქულა პირველ მეოთხედში ჩააგდო, მისი გუნდი კი 25 ქულით დაწინაურდა (35:10). ამის მერე რაღაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, ერთი ის იყო, რომ „ორლანდომ“ გაიმეორა ერთი სამწუხარო რეკორდი: ფლეი-ოფებში ასე ცოტა ქულა აქამდე მხოლოდ „პორტლენდს“ ჩაეგდო (შარშან „იუტას“ წინააღმდეგ).

**ნიუ იორკი — შარლოტი 109:99**

ბოლო მეოთხედში შესანიშნავად ითამაშა ნიუ იორკელმა ალან ჰიუსტონმა (25): 13 ქულა გააკეთა და სამი სამქულიანი ჩააგდო. მან შარლოტელ ვლადე დივაცს (27) და გლენ რაისს (22) მთელი შრომა წყალში ჩაუყარა.




ორლანდოელ რონი საიკლის გზაზე ალონზო მურნინგი(33) და ფი. ჯეი. ბრაუნი გადაეყარნენ

**იუტა — კლიპერზი 106:86**

როცა კარლ მელოუნი (27 ქულა, 10 მოხსნა) და ჯონ სტოქტონი (13 ქულა, 17 პასი) შეხმატკბილებულად თამაშობენ, მათ ვერავითარი ძალა ვერ მოერევა. აქაც ასე მოხდა.

**ჰიუსტონი — მინესოტა 112:95**

„ჰიუსტონმა“ ყველაფერში გადაუარა მეტოქეს — მოხსნებში 58:36 მოუგო, ხოლო მისმა სათადარიგოებმა 36:17 მოუგეს მინესოტელთა სამარქაფოებს.



**NHL. სტენლის თასი**

**ოტავა 2-2 ბუფალო**

**ოტავა — ბუფალო 1:0. შაიბა: ალფრედსონი**

ბუფალოელი სუპერვარსკვლავის, მეკარე ჰაშეკის არყოფნა უმალ დაეტყო კლუბს. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხის შემცვლელმა შილდზმა ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა, რაზეც 35 მოგერიებული დარტყმაც მეტყველებს, ბუფალოელებმა ჩვეული აგრესიულობით ვერ ითამაშეს და უფრო კარის დაცვაზე ზრუნავდნენ. ამიტომ იყო, ოტაველთა გოლკიპერი ტაგნატი მხოლოდ 17-ჯერ რომ შეაწუხეს. შილდზის წყალობით მატჩის ძირითადი დრო უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ოვერტაიმში ახალგაზრდა გოლკიპერი შეცდა — შაიბა პირდაპირ მიაწოდა ოტაველ ჩორსკის, რომელმაც ალფრედსონის ცარიელ კართან გაყვანა არ დააყოვნა.




**პიტსბურგი 1-3 ფილადელფია**

**პიტსბურგი — ფილადელფია 4:1. შაიბები: მორანი, ოლჩიკი, ნედვედი, ლემიე; პოდეინი**

ამ მატჩში „მფინავების“ კეთილგანწყობა ლემიეს მიმართ, რომლისთვისაც ეს შეხვედრა უკანასკნელი შეიძლებოდა ყოფილიყო, იმით გამოიხატა, რომ ფილადელფიამ პირველივე პერიოდში რიცხვმრავლობაში ერთბაშად ორი გოლი გაუშვა (თასის რეკორდის გამეორება). ამჯერად „პინგვინებმა“ უფრო დაწყობილ-დალაგებულად ითამაშეს, თანაც, არც სხვა სამეულებს შეურცხვენიათ თავი. თავად მარიომ კი 59-ე წუთზე ზუსტი დარტყმით დაავირგვინა თავისი გუნდის გამარჯვება და ეს მისი 69-ე შაიბაა ფლეი-ოფში.

**რეინჯერზი 3-1 ფლორიდა**

**რეინჯერზი — ფლორიდა 3:2. შაიბები: გრეცკი (3); ნიდერმაიერი, ნემეროვსკი**

მატჩი გრეცკისა იყო. ბოლო წლებში ასისტენტად გამწესებულმა ბრწყინვალე სნაიპერული თვისებები გამოავლინა.

პირველ პერიოდში „პანტერები“ დაწინაურდნენ, მეორეში კი გრეცკის ჯერი დადგა: ექვსი წუთის განმავლობაში მან სამჯერ აიღო ვანბისბრუკის კარი. მესამე შაიბა ულამაზესი იყო — ლეგენდარულმა სპორტსმენმა დარტყმამდე ორი მცველი შთამბეჭდავად მიაწვინა ყინულზე. ეს გრეცკის მეცხრე სათასო ჰეთ-თრიქია, რაც ლიგის აბსოლუტური რეკორდია (7-7 მონრეალელი მორის რიშარისა და გრეცკის მრავალწლიანი პარტნიორის — კურის ანგარიშზეა). „პანტერებისაგან“ კი, რომლებიც ერთობ უფერულ ჰოკეის თამაშობენ, არც ახლა მოელოდა ვინმე სასწაულს (შარშან ფლორიდამ ფინალამდე მიაღწია).

**კოლორადო 3-2 ჩიკაგო**

**კოლორადო — ჩიკაგო 7:0. შაიბები: ლემიე, კინი, კამენსკი (3), კლემი, ჯოუნზი.**

როგორც იქნა თასის მფლობელი გაცხარდა და მეტოქეს თავისი უზღო. ორი გაუგებარი მარცხის შემდეგ „ეველანში“ ძალზე მობილიზებული გამოვიდა ყინულზე და პირველივე წუთებიდან შეუდგა საქმეს. მე-17 წუთისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო, დარჩენილ დროში კი [illegible] ტმა მთლად გაანადგურა „[illegible]“ განსაკუთრებით გუნდის [illegible] ერთობ უფერული სეზონის შემდეგ ბოლოსდაბოლოს ათამაშდა კამენსკი და სამ გოლს (მანამდე 14 მატჩში 1 შაიბა შეაგდო) ერთი პასიც დაამატა, საკიკმა და ფორსბერგმა კი 3-3 პასი გააკეთეს. ასევე აღსანიშნავია კოლორადოს ბრწყინვალე თამაში რიცხვმრავლობაში, რომელიც გუნდმა 5-ჯერ (!) გამოიყენა. ამას ისიც დაერთო, რომ „ეველანშის“ გოლკიპერმა მეორე „მშრალი“ მატჩი ჩაატარა ამ სერიაში და 89 მოგებით ლიგის საუკეთესო სათასო მეკარე გახდა.

**მონრეალი 1-3 ნიუ ჯერზი**

**მონრეალი — ნიუ ჯერზი 4:3. შაიბები: რექი — 2, სტივენსონი, ჰრიზბუა — ნიდერმაიერი, ელიაში, ოდელეინი.**

პიტსბურგის არ იყოს, მონრეალი გადაურჩა სერიაში მშრალად დამარცხებას და სამი წაგების შემდეგ პირველად გაიხარა. თუმცა, ფილადელფიისგან განსხვავებით, „ეშმაკები“ სულაც არ აპირებდნენ სერიის გაგრძელებას და პირველ პერიოდში ორი უპასუხო შაიბა შეაგდეს. ალბათ, მონრეალი ამჯერადაც ვერ გადარჩებოდა, კლუბის ახალბედა გოლკიპერი ჟოზე თეოდორი რომ არა, რომლის ბრწყინვალე თამაშმაც კანადელებს ფრთები შეასხა და 46-ე წუთზე რექიმ ფლეი-ოფში გატანილი მეოთხე შაიბით დააწინაურა მასპინძლები. ბოლოსწინა წუთზე ყოფილმა მონრეალელმა ოდელეინმა ოვერტაიმში გადაიყვანა თამაში, სადაც თითქმის ორნახევარი პერიოდის შემდეგ ბედმა კანადელებს გაუღიმა. წლევანდელ სეზონში ეს ყველაზე ხანგრძლივი ოვერტაიმია — 47 წუთი და 37 წამი, აბსოლუტური რეკორდი კი 1936 წლის დეტროიტ — მონრეალის მატჩს (1:0) ეკუთვნის, რომელმაც 116 ნახევარ წუთს (!) გასტანა.

**ანაჰაიმი 2-3 ფინიქსი**

**ანაჰაიმი — ფინიქსი 2:5. შაიბები: სელიანე — 2 — ტკაჩუკი — 2, რენიკი, ნუმინენი, კორკუმი.**

გუნდების ლიდერებმა — ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებმა, ანაჰაიმელმა სელიანემ და ფინიქსელმა ტკაჩუკმა (52 გოლი) ამჯერად დაზავება იყაბულეს და 2-2 შაიბა შეაგდეს, რის შემდეგ 5-5 შაიბით თასის საუკეთესო სნაიპერები გახდნენ. თუ ფინიქსელ[illegible] პარტნიორები დაეხმარნენ, სელიანეს თ[illegible]აგუნდელებზე ეს არ ითქმის. გადამწყვეტ[illegible] მეორე პერიოდი გამოდგა, როდესაც „[illegible]ოტებმა“ ორი უპასუხო შაიბა გაიტანეს და 3:1 დაწინაურდნენ. უნდა ითქვას, რომ ფინიქსელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი ზედიზედ მეორედ კლუბის ფორვარდი კორკუმი (1+2) გახდა.

**სამველ ღარიბიანი**



# ითამაშებენ, დაისვენებენ...

ხუთშაბათს, ჩუღურეთის რაიონის სპორტული სკოლის დარბაზში დასრულდა ვაჟ ფრენბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე. შეჯიბრს საუკეთესო ექვსეული უნდა გამოევლინა, რომელიც ივნისის დასაწყისში მეორე წრეში ჩაებმება. ფრენბურთის ფედერაციას მეორე წრის ბათუმში ჩატარება აქვს განზრახული, თუ ეს ასე მოხდა, აჭარაში გაემგზავრებიან სამხედრო აკადემიის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, სპორტული სკოლისა და აგრარული უნივერსიტეტის გუნდები. ამათ იქაური „ბათუმი“ და ბათუმისავე კოლეჯის გუნდები შეუერთდებიან.

**ერეკლე ქიქილაშვილი**

# ჩოგბურთი

## კოკა წყალზე გატყდა

დიდი შებმა იშლება. მსოფლიო ყოფილ პირველ ნომერ შტეფი გრაფს მუხლი კი მოურჩა და 12 მაისიდან გერმანიის ღია პირველობაზე აპირებს სარბიელზე დაბრუნებას, მაგრამ ახლა მისი მემკვიდრე – 16 წლის შვეიცარელი მარტინა ჰინგისი დაშავებულა და ბერლინში ალბათ ვეღარ ითამაშებს.

მარტინა წელს გამართულ 31 მატჩში დაუმარცხებელია და ქალთა პროფ-ასოციაციის რეიტინგით შტეფის 771 ქულას უგებს. ამასთან, ბედიც წყალობს — კორტზე აქამდე არასოდეს დაშავებულა.

და მაინც, ყმაწვილ ქალს სისხლი უდუღს: ანცობას — გორგოლაჭებით ციგურაობასა და ცხენით ჯირითს არ იშლის. დედამისი მელანი მოლიტოროვაც აგულიანებს, ჩოგბურთის გამო სიამ-ტკბილობა არ მოიკლოო.

იანვარში, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალის წინ ჰინგისი ცხენიდან გადავარდა, მაგრამ არა ტკენია რა. კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო და ამ ორშაბათს მავანმა რაშმა, აწ უკვე შინ, აღმოსავლეთი შვეიცარიის დაბა ტრუბბახში ისევ რომ დასცა მხედარი, მარტინას მარცხენა მუხლის მყესები დაუწყდა.

ქალმა ტკივილი მეორე დღესღა იგრძნო. დასიებული ფეხი საოპერაციო გამხდარიყო. ოთხშაბათს ჰინგისი დააწვინეს ავსტრიის დაბა შრუნცის კერძო კლინიკაში, სადაც დოქტორმა კრისტიან შენკმა სრული ანესთეზიის თანხლებით ოპერაცია 30 წუთში ჩაუტარა.

ჰინგისი გუშინწინ უკვე ყავარჯნით დადიოდა. პროფტურმა ამის გამო ოფიციალურად განაცხადა, ქალი ზედიზედ სამი კვირის მანძილზე ალბათ ვერ ითამაშებს ჰამბურგში, რომსა და ბერლინშიო.

## კურიე გაუზრდელდა

მონტე-კარლოში განთესილთა სრვა ოთხშაბათსაც გაგრძელდა — ერთბაშად შვიდი რჩეული გავარდა.

II წრე (მეთექვსმეტედფინალი): კრისტიან რუუდი (ნორვეგია) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 3) 6:4, 2:6, 6:4; ბოჰდან ულიპრახი (ჩეხეთი) — თომას ენკვისტი (შვედეთი, 5) 7:5, 4:6, 6:3; კარლოს კოსტა (ესპანეთი) — ვეინ ფერერა (სამხ. აფრიკა, 8) 6:4, 7:6 (7-5); ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი, 11) 6:2, 6:4; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ჯიმ კურიე (აშშ, 13) 7:5, 7:5; ემილიო ალვარესი (ესპანეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, 14) 6:3, 3:6, 6:4; დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) — მარკ როსე (შვეიცარია, 15) 7:6 (7-5), 6:1

კაფელნიკოვმა წელს ზედიზედ მესამედ წააგო ტურნირის სასტარტო მატჩი, ფილიპუსისმა ჯაგლაგი კურიე მძლავრი მოწოდებებითა და ხელ-უკულმა დარტყმებით დათრგუნა, კრაიჩეკმა კი პირველ თამაშს ჩაუსწრო ტოკიოდან, სადაც კვირას ტურნირი მოიგო. მე-4 ნომრად განთესილმა უიმბლდონის ჰოლანდიელმა ჩემპიონმა 6:3, 6:0 დაანგრია ჩამოწერილი მიხაელ შტიხი (გერმანია).

ხუთშაბათს კრაიჩეკმა 6:3, 6:2 ძლია ფილიპუსისი. ავსტრალიელს 11 ორმაგი და 31 უნებური შეცდომა მოუვიდა, რითაც ჰოლანდიელს 62 ქულიდან 42 ხონჩით მიართვა. და მაინც, დღის უმთავრესი მოვლენა კურიეს დისკვალიფიკაცია იყო. იგი და როსე 6:3, 2:6, 1:4 აგებდნენ ლუის ლობო (არგენტინა) — ხავიერ სანჩესის (ესპანეთი) წყვილთან, როცა ჯიმმა ხმამაღლა შეიგინა. ამაზე შენიშვნა მისცეს. მაშინ კურიემ მეორედაც შეიგინა, რასაც საჯარიმო ქულა მოჰყვა. ამერიკელი არ დაცხრა და ახლა მსაჯის სკამს კრა ფეხი, რისთვისაც მოხსნეს და ტურნირის სარგო სარეიტინგო ქულებიცა და ჰონორარიც (24 800 US$) დაუქვითეს.

სხვა მერვედფინალები: კარლოს მოია (ესპანეთი, 6) — მედვედევი 6:4, 7:6 (7-3); რუუდი — ალვარესი 5:7, 7:6 (7-3), 6:1; ალექს კორეჩა (ესპანეთი, 12) — ულიპრახი 4:6, 7:6 (7-5), 6:0; კ. კოსტა — არნო ბეჩი (საფრანგეთი) 6:4, 7:5; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 16) 3:6, 7:5, 6:1; მარსელო რიოსი (ჩილე, 7) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 10) 7:6 (7-3), 6:4; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ვაჩეკი 7:5, 6:0

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

EUROSPORT

**დღეს, შაბათს, 26 აპრილს**

11.30 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. ველინგთონიდან (ახალი ზელანდია); 12.00 საგიჟმაჟო ჟურნალი „სრბოლა"; 12.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"; 13.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი. აშშ — მექსიკა; 15.00 მოტო-კროსის ჟურნალი „უგზოდ"; 18.00 ავტორბოლა: მსუბუქი მანქანები. სეზონის წარდგენა; 17.00 მსუბუქი მანქანები: STW-ის თასი. კვალიფიკაცია. ჰოკენჰაიმიდან (გერმანია) (პ); 18.00 საგზატკეცილო. ველორბოლა: მსოფლიო თასი. „ამსტელ გოულდ". ჰოლანდიიდან (პ) და ჩოგბურთი: მონტე-კარლოს ღია პირველობა. II ნახევარფინალი (პ); 21.00 ყინულის ჰოკეი: მსოფლიო პირველობა. შვედეთი — იტალია. ტურკუდან (ფინეთი); 23.30 ჰოკეი: (-) ფინეთი — საფრანგეთი (პ); 24.30 ჰოკეი: (-) ჩეხეთი — გერმანია; 1.00 ჩოგბურთი: მონტე-კარლო. I ნახევარფინალი; 2.30 მსუბუქი მანქანები: ჰოკენჰაიმი (რ); 3.00 ინდიკარი: პი-პი-ჯის მსოფლიო სერიალი. ნაზარეთიდან (პენსილვანია, აშშ) და ჟურნალი „პოულ"; 4.00 ჰოკეი: მსოფლიო პირველობა (რ) (5.00-მდე)

**ხვალ, აღდგომას, 27 აპრილს**

11.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი. გზა ფინალისაკენ; 12.30 ტანვარჯიში: ევროპის საოსტატო. ბერსიდან (პარიზი); 14.00 მსუბუქი მანქანები (-); 12.30 ფაეტონების რბოლა. აშშ-დან; 15.00 ინდიკარი (-); 16.00 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. გერმანიიდან (პ); 17.00 ჰოკეი: მსოფლიო პირველობა. აშშ — ლატვია (პ); 19.30 ჰოკეი: (-) რუსეთი — სლოვაკეთი; 20.30 მსუბუქი მანქანები (-); 21.00 ჰოკეი: (-) შვედეთი — კანადა (პ); 23.30 ჩოგბურთი: მონტე-კარლო. ფინალი; 1.00 ინდიკარი: ნაზარეთიდან; 3.00 მსუბუქი მანქანები (-); 4.00 ჰოკეი: მსოფლიო პირველობა (რ) (4.30-მდე)

**ზეგ, ორშაბათს, 28 აპრილს**

11.30 ჰოკეი: მსოფლიო პირველობა (მ); 12.00 ველო-კროსი: გერმანიიდან (-); 13.00 ველორბოლა: ამსტელ გოულდი (-); 13.30 ფეხბურთი: აშშ — მექსიკა (-); 15.00 ჰოკეი (მ); 15.30 ინდიკარი (-); 17.00 ჰოკეი: მსოფლიო პირველობა. ფინეთი — ჩეხეთი (რ); 18.00 ტანვარჯიში: ბერსი (-); 20.00 ჰოკეი: (-) ლატვია — იტალია (რ); 21.00 ჰოკეი: (-) ნორვეგია — აშშ (პ); 23.30 ჰოკეი: (-) სლოვაკეთი — საფრანგეთი (პ); 1.30 ფეხბურთი: საქველმოქმედო მატჩი. ევროპა — დანარჩენი მსოფლიო. ბარსელონიდან; 3.00 ჰოკეი: (-) (მ); 3.30 ჰოკეი: (-) გერმანია — რუსეთი (პ)

# ფორმულა-1




**IV ეტაპი**

**სან-მარინოს დიდი პრიზი**

27 აპრილი. იმოლა
ენცო და დინო ფერარების ავტოდრომი

ტრასის სიგრძე 4,895 კმ
რბოლის დისტანცია: 63 წრე — 308,385 კმ

შარშანდელი შედეგები:

გამარჯვებული: დეიმონ ჰილი (უილიამს-რენო) 1:35.26,156 (193,761 კმ-სთ)
პოული: მიხაელ შუმახერი (ფერარი) 202,683 კმ-სთ
უსწრაფესი წრე: ჰილი 1.28,931 (198,032 კმ-სთ)

იმოლას ტრასა სწრაფად ითვლება. სენას დაღუპვის შემდეგ ტამბურელოს მოსახვევის გადაკეთება-შენელებამ სისწრაფე დაახლოებით 5-6 კმ-სთ-ით შეამცირა, მაგრამ წელს გამართულ სხვა კლასების რბოლებში სისწრაფე ბოლო წლებთან შედარებით გაიზარდა. ალბათ ამჯერადაც ასე იქნება. ტრასა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ძრავებსა და მუხრუჭებს. საწვავის ხარჯიც დიდია. ამის გამო გუნდების უმეტესობა ორჯერ იწვევს პილოტებს საწვავის შესავსებად.

შარშან შუმახერი ტრასის უსწორმასწორობას უჩიოდა, მაგრამ კვალიფიკაციაში ჰილს პოული მაინც გამოტაცა. საერთოდ, ის რბოლა ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და საინტერესო იყო ბოლო წლებში. შესანიშნავი სტარტის შემდეგ კარგახანს კულთჰარდი (მაკლარენი) ლიდერობდა და ახლოს არ იკარებდა ჰილსა და შუმახერს. დევიდმა მხოლოდ პიტ-სტოპის შემდეგ დათმო პირველობა, საბოლოოდ კი ჰილმა გაიმარჯვა.

იმოლაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „უილიამსმა" ოთხჯერ გაიმარჯვა. კვირის რბოლაში მისი პილოტები კვლავ ფავორიტებად მიიჩნევიან. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს ტრასა „ფერარისთვის" შინაურია და შუმიც ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა „ტიფოზებს" ასიამოვნოს. ამ ეტაპმა ისიც უნდა გაარკვიოს, როგორ მოახერხეს სხვა გუნდებმა თავიანთი ბოლიდების გაუმჯობესება და მათგან რას უნდა მოველოდეთ.

ხვალ გერჰარდ ბერგერი მეორასედ, ჯონი ჰერბერტი კი — მესედ დადგებიან სტარტზე.

ალეკო ჰაბუკიანი

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

საბურთალო — ვერე — ვაკე — VII არხით

**დღეს, შაბათს, 26 აპრილს**

STAR TV

6.30 კრიკეტი. იკკ-ის თასის ფინალი. ბანგლადეში — კენია; 12.30 გოლფი: ომეგას ტური. გუამის ღია პირველობა (რ); 13.30 კალათბურთი: ნბა (მ); 14.00 გოლფი: აშშ-ის ტური. ემ-სი-აი კლასიკი. ბოლო დღე; 16.00 ავტორბოლა: ფორმულა-1. სან-მარინოს დიდი პრიზი. კვალიფიკაცია (პ); 17.00 გოლფი: პროფ-ტური (მ); 17.30 აზიური სპორტის სეირი; 18.00 კრიკეტის კვირეული (მ); 18.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. I თითოდღიანი. ტრინიდადიდან (პ); 22.00 ინდური სპორტი; 22.45 კრიკეტი (გ); 2.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 3.30 მსოფლიო რაგბი; 5.30 ფორმულა-1: სან-მარინო. კვალიფიკაცია (-); 6.30 კრიკეტი: I თითოდღიანი (რ)

**ხვალ, აღდგომას, 27 აპრილს**

7.30 რესლინგი; 8.30 აზიური სპორტი; 9.00 მოტოციკლი: იაპონიის დიდი პრიზი (რ); 10.30 კრიკეტის კვირეული; 11.00 ფორმულა-1: სან-მარინო. კვალიფიკაცია (-); 12.00 ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (მ); 12.30 კრიკეტი: I თითოდღიანი (რ); 13.30 აზიური ფეხბურთი; 14.30 ინდური სპორტი; 15.00 გოლფი: გუამი (რ); 16.00 სპორტის უმშვენიერესი წამები; 16.15 დიდი პრიზის სეირი; 16.45 ფორმულა-1: სან-მარინოს დიდი პრიზი (პ); 19.00 კრიკეტი: ინგლისის საკვირაო ლიგა (პ); 23.30 კრიკეტი: I თითოდღიანი (რ); 24.30 აზიური ფეხბურთი; 1.30 სქვოში: მსოფლიო ტური; 2.00 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი; 3.00 ინდური სპორტი; 3.30 რაგბი: ბალიმორის ათკაცა (12-15 თებერვლისა); 6.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. II თითოდღიანი (რ)

**ზეგ, ორშაბათს, 28 აპრილს**

7.30 გოლფი: პროფ-ტური (მ); 8.00 სქვოში (-); 8.30 გოლფი: გუამი (რ); 9.30 აზიური ფეხბურთი; 10.30 ცხენოსნობა: ვოლვო (-); 11.30 კრიკეტი: II თითოდღიანი (რ); 12.30 დიდი პრიზი სეირი; 13.00 ფორმულა-1: სან-მარინო (-); 15.00 კრიკეტი: ინგლისის ბენსონ-ენდ-ჰეჯისის თასი (პ); 18.30 ინდური სპორტი; 21.00 კრიკეტი (გ); 23.00 კრიკეტი: II თითოდღიანი (რ); 24.00 13-კაცა რაგბი: სუპერ-ლიგა; 2.00 აზიური სპორტი; 2.30 კრიკეტი: ინგლისის საკვირაო ლიგა

**მაზეგ, სამშაბათს, 29 აპრილს, საღამომდე**

7.30 დიდი პრიზის სეირი; 8.00 ფორმულა-1: სან-მარინო (-); 10.00 კრიკეტი: ბენსონ-ენდ-ჰეჯისი (-); 17.00 მსოფლიო სპორტი (მ)

(-) იგივე; (გ) გაგრძელება; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული


„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90


# რაგბი

RUGBY SUPER 12

## ზე-12-ის სერიალი

**VIII კვირა**

18. 04. ინვერქარგილი. ოთაგო (ზელანდია) 9 (3) (პს: ბრაუნი) — დედაქალაქი (კანბერა, ავსტრალია) 15 (8) (2ლ: გრეგანი, ფინეგანი; გ, ს: ნოქსი)

19. 04. ოქლენდი. ოქლენდი (ზელ) 63 (29) (10ლ: ტონუუ 2, ზ. ბრუქი 2, ლაფაიალი, ვიდირი, სპენსერი, მ. ჯოუნზი, დ. მიკა, სთენლი; 5გ, ს: სპენსერი) — ჰაუტენგი (ყოფილი ტრანსვაალი, იოჰანესბურგი, აფრიკა) 22 (15) (3ლ: ბრონსნიჰანი, ი. რუ, მულდერი; 2გ, ს: რუ)

სიდნეი (30 ათასი მაყურებელი). ახალი სამხრეთი უელსი (ავსტ) 16 (ლ: საჯარიმო; გ, 3ს: ბერქი) — ქვინზლენდი (ბრისბენი, ავსტ) 26 (3ლ: თიუნი, კონორსი, სმითი; გ, 3ს: ილზი)

პრეტორია. ჩრდილოეთი ტრანსვაალი (აფრ) 34 (17) (4ლ: ბაუერი, ფანდერვალტი, ოლივიე 2; 4გ, 2ს: სტეინი) — ვაიქათო (ზელ) 27 (13) (2ლ: ენგლსი, ოზბორნი; გ, 5ს: კუპერი)

ქრაისთჩერჩი. ქენთებრი (ზელ) 26 (16) (2ლ: მეიერჰოფლერი, საჯარიმო; 2გ, 4ს: მერთენსი) — ნატალი (დურბანი, აფრიკა) 26 (12) (4ლ: მულერი, ფანჰირდენი, ენდრიუზი, ჰონიბალი; 3გ: ჰონიბალი)

20. 04. ველინგთონი (32 ათასი). ველინგთონი (ზელ) 59 (30) (8ლ: ქალენი 3, უმაგა, ოჰალორანი, ქუქსლი, საჯარიმო; 5გ, 3ს: პრესტონი) — ნარინჯი (ბლუმფონტეინი, აფრ) 30 (23) (3ლ: ს. ბრინკი, ფანრენსბურგი, მეიერი; 3გ, 3ს: დებეერი)

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი | 7 | 6 | 0 | 1 | 4 | 272:176 | 30 |
| ნატალი | 7 | 5 | 1 | 1 | 5 | 266:202 | 27 |
| კანბერა | 8 | 5 | 3 | – | 6 | 267:219 | 26 |
| ველინგთონი | 7 | 4 | 3 | – | 6 | 266:197 | 22 |
| ჰაუტენგი | 7 | 4 | 2 | 1 | 4 | 224:228 | 22 |
| ახ. სამხრ. უელ. | 7 | 3 | 4 | – | 4 | 196:171 | 16 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 8 | 2 | 4 | 2 | 4 | 191:258 | 16 |
| ნარინჯი | 8 | 3 | 5 | – | 2 | 228:275 | 14 |
| ვაიქათო | 7 | 3 | 4 | – | 1 | 160:177 | 13 |
| ქენთებრი | 7 | 2 | 4 | 1 | 2 | 163:198 | 12 |
| ოთაგო | 7 | 2 | 5 | – | 3 | 187:259 | 11 |
| ქვინზლენდი | 8 | 2 | 6 | – | 2 | 180:240 | 10 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+" გრაფა). მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

IX კვირა. 25. 04: ქენთებრი — ჰაუტენგი; 26. 04: კანბერა — ახ. სამხრ. უელსი, ველინგთონი — ოთაგო, ნარინჯი — ვაიქათო; 27. 04: ოქლენდი — ნატალი

## დაალელოვეს!

უარესი რა უნდა დამართნოდათ — ჰაუტენგის „ოქროს ლომები" ოთხმატჩა ზღვისრეთულ ტურნეს „იდენ პარკზე", ოქლენდის „ლურჯებთან" თამაშით შეუდგნენ და სასტიკადაც დამარცხდნენ. აფრიკელებმა ერთბაშად 10 ლელო გაუშვეს და საცხრილო საქმეებიც ისე გაიფუჭეს, რომ საპლეიოფო ოთხეულიდან ველინგთონს ალბათ ვეღარ გააძევებენ.

ოქლენდმა ტრადიციულად დუნედ დაიწყო. მატჩის დებიუტში ჰაუტენგი 15:7 დაწინაურდა — „ლურჯების" 8 ნომერმა კაპიტანმა ზინზან ბრუქმა შერკინებიდან პირდაპირ მეტოქის 9 ნომერ იოჰან რუს მისცა ბურთი.

მერე ზელანდიური მანქანა ამუშავდა. ხუთწუთიან მონაკვეთში ზინზანმა თავად გაიტანა ორი ძალისმიერი ლელო. მოხდა დრამაც: „ლომთა" 125-კილოიანი, ორმეტრა კაპიტანი კობუს ვიზე „ლურჯების" 88-კილოიან შუამარბ ლიი სთეინსს შეასკდა, III ხარისხის ტვინის შერყევა კი თავად მიიღო. თამაში 7 წუთით შეწყდა. ვიზეს კისრის კორსეტი გაუკეთეს, წაასვენეს და შინ უპირებდნენ გაფრენას.

თამაშის ბოლოს ზინზანი გამოცვალეს. ამის შემდეგ ჰაუტენგმა აიწყვიტა და სანუგეშო ლელოც გაიტანა.

ველინგთონის „გრიგალები" აფრიკელებთან ურთიერთობის გარკვევას მორჩნენ: სამი იქაური გუნდი ძლიეს, ნატალთან კი მსაჯის წყალობით დამარცხდნენ. ცივ, მზიან დღეს ნარინჯი თავიდან 10:0 იგებდა, მაგრამ მერე მასპინძლებმა ისიც გააბურთავეს. სტადიონს დიდძალი ხალხი მიაწყდა, ამ უქმეებზე კი კიდევ უფრო მეტი ყოფილა მოსალოდნელი.

სერიალის უბანძესი თამაში გამართა ზელანდიის უკიდურეს სამხრეთ სარაგბო ცენტრ ინვერქარგილში. შეცდომები ორივე გუნდს მრავლად მოდიოდა. მასპინძელმა „მთიელებმა" უჭიგროდ ითამაშეს, წინა ტურში ოქლენდის მიერ ძლეულ „რაშებს" კი მონდომება არ აკლდათ. მათი შერკინებაც მძლავრობდა, მულატმა 9 ნომერმა ჯორჯ გრეგანმა კი ორივე ლელოში დაიდო წილი.

სიდნეის საბურთაო სტადიონზე ოდინდელი მეტოქეები — მასპინძელი „ვორათაზი" და სტუმარი „რედზი" (წითლები) შეიბნენ. ქვინზლენდმა წელს დაყვინა და ახლა ღირსებისთვისღა თამაშობს, სიდნეელებს კი პლეი-ოფში მოხვედრის შანსი კიდევა აქვთ. თამაში იმავდროულად ავსტრალიური ყოველწლიური შინაომის — „დასაბამის სერიალის" პირველი ეტაპი იყო.

ველინგთონის ბურჯი ბილ კავუბათი ტანკივით მიარღვევს ნარინჯის დაცვას

ომი მართლაც გაჩაღდა. ავსტრალიელმავე მსაჯმა ვეინ ერიქსონმა მასპინძლები სულ 5-ჯერ დააჯარიმა, სტუმრები — 22-ჯერ (!), მაგრამ „ვორათაზმა" ისე უჭკუოდ და გათითოკაცებულმა ითამაშა, რომ უსიტყვოდ წააგო ბურთაობის ჩასაშლელად მომეცადინე მეტოქესთან და ერთადერთი, საჯარიმო ლელოც მატჩის ბოლო წუთზეღა გაიტანა.

სიდნეელებს მალევე დაუშავდათ დიდი დევიდ ქემფიზი. სამი ქვინზლენდელი გაასინბინეს — მოედნიდან 10-10 წუთით მიაბრძანეს. მატჩის კომისარმა მსაჯის თვალსაწიერს მიღმა დარჩენილი სამი სერიოზული დარღვევა აღნუსხა. მათი განხილვის შემდეგ ქვინზლენდის სათადარიგო კვაჭ ბრენდან ქენონს ზე-12-ის ისტორიაში უსასტიკესი — 15-მატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუნიშნეს, მის თანაგუნდელ ბურჯ დან ქრაულის ორი თამაში არგუნეს, სიდნეელი ბურჯი ფილ ჰარი კი სამ თამაშს გამოტოვებს.



რაგბის კლუბი „ყოჩები" აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას.



მიბრძანდით ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონის ტბლოს მიდამოში. იკითხეთ ნუგზარ მალაღურაძე.

მერე არ იკითხავთ, რა ჩაიდინა ამ ხალხმა? — დიდი არაფერი; ის, რაც დღესდღეობით ყველა თამაშში ხდება. ქენონმა წაქცეული მეტოქე დაწიხლა, ქრაულიმ — მუშტი აძგერა, ჰარიმ კი ქვინზლენდის ნორჩ 10 ნომერ ელტონ ფლეთლის მუხლი დაუდო.

ოქლენდის შემდეგი მეტოქე ნატალია, ვინაც სამ ქულას დაჯერდა ქრაისთჩერჩში. მასპინძელ „ჯვაროსნებს" მეტოქის დაწიხლვისათვის საწყის მეოთხედშივე გაუგდეს ბურჯი სთუ ლოუ, სტუმრებს კი სველი ბურთით თამაში გაუჭირდათ. მათი ერთი ლელო გაიტანა საფრანგეთის „ტულუზიდან" გაქცეულმა შუამარბმა პიტერ მულერმა, ვინაც ნატალი ორი წლის წინ მიატოვა და თავიდან სიდნეიში 13-კაცას თამაშობდა.

ქენთებრი სულ ბოლომდე იგებდა, მაგრამ მაინც გატყდა და ლელო გაუშვა. თამაშის მიწურულს მასპინძლებს კვაჭი რომ დაუშავდათ, მისი გაწაფული შემცვლელი კი აღარ ყავდათ, მსაჯმა წესისამებრ სიაფანდი, ბავშვური შერკინებების დანიშვნას მიყო ხელი: ამ დროს მიწოლა იკრძალება, ბურთი კი შემგორებელ გუნდს მეტოქემ უბრძოლველად უნდა დაუთმოს.

ზინზან ბრუქს უეჭველად ჯადო აქვს: მისით ოქლენდიცა და ქვეყნის ნაკრებიც უძლეველები არიან, უმისოდ კი ძალა უცბათ გამოეცლებათ ხოლმე

პრო სპორტ-ის ფოტოები


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექვევლია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29